

შპს დემასი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა	5
2 საოპერაციო გარემო	5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	20
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	22
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	27
9 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	28
10 მარაგები	28
11 გადახდილი ავანსები	29
12 ვადიანი დეპოზიტები	29
13 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	30
14 ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	30
15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
16 საწესდებო კაპიტალი	31
17 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები	31
18 გაყიდული საქონლის თვითღირებულება	32
19 რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები	32
20 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	32
21 პირობითი ვალდებულებები	33
22 ფინანსური რისკების მართვა	33
23 კაპიტალის მართვა	39
24 რეალური ღირებულების შეფასება	40
25 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	42
26 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	42
27 სააღრიცხვო პოლიტიკა იჯარებისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე	42

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა 2019

Independent Auditor's Report

შპს დემასი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	29,650	21,348
საინვესტიციო ქონება	8	4,024	4,356
აქტივის გამოყენების უფლება		374	-
არამატერიალური აქტივები		95	129
სამშენებლო მასალები		694	738
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები	11	1,143	185
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	9	10,622	-
ვადიანი დეპოზიტები	12	39,238	12,448
სულ გრძელვადიანი აქტივები		85,840	39,204
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	19,426	17,564
გადახდილი ავანსები	11	445	537
სავაჭრო მოთხოვნები		296	333
ვადიანი დეპოზიტები	12	14,111	33,044
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	2,111	3,327
სულ მიმდინარე აქტივები		36,389	54,805
სულ აქტივები		122,229	94,009
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	2	2
გაუნაწილებელი მოგება		112,009	92,128
სულ კაპიტალი		112,011	92,130
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		291	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		291	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	8,879	1,021
საიჯარო ვალდებულება		99	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები		949	858
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,927	1,879
სულ ვალდებულებები		10,218	1,879
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		122,229	94,009

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წლის 15 ივლისს.

მალხაზ საბაძე
გენერალური დირექტორი

ეკატერინე შერვაშიძე
მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 42 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დემასი
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები			
	17	56,605	60,346
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	18	(32,099)	(34,995)
საერთო მოგება			
		24,506	25,351
საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი			
	8	778	722
რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები			
	19	(6,072)	(5,459)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები			
	20	(3,438)	(3,449)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან			
		3,150	1,555
საოპერაციო მოგება			
		18,924	18,720
ფინანსური შემოსავალი			
	12	2,953	2,444
ფინანსური ხარჯი			
		(147)	-
ზარალი მეკავშირე საწარმოდან			
	9	(262)	
მოგება დაბეგვრამდე			
		21,468	21,164
მოგების გადასახადის ხარჯი			
		(44)	(211)
წლის მოგება			
		21,424	20,953
სხვა სრული შემოსავალი			
		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი			
		21,424	20,953

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 42 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დემასი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>გაუნაწილებე- ლი მოგება</i>	<i>სულ</i>
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის		2	78,540	78,542
წლის მოგება		-	20,953	20,953
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი 2018 წლისთვის		-	20,953	20,953
გამოცხადებული დივიდენდები	16	-	(7,365)	(7,365)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2	92,128	92,130
წლის მოგება		-	21,424	21,424
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი 2019 წლისთვის		-	21,424	21,424
გამოცხადებული დივიდენდები	16	-	(1,543)	(1,543)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს		2	112,009	112,011

შპს დემასი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		21,424	21,164
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	880	735
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		106	-
საინვესტიციო ქონების ცვეთა	8	332	333
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		34	35
საპროცენტო შემოსავალი ვადიან დეპოზიტებზე	12	(2,953)	(2,444)
საპროცენტო ხარჯი		75	-
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან		(3,079)	(1,554)
გადახდილი ავანსების გაუფასურება		-	401
სხვა არაფულადი საოპერაციო დანახარჯები		-	58
ზარალი მეკავშირე საწარმოდან		262	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:			
		17,081	18,728
სავაჭრო მოთხოვნები		38	(18)
მარაგები	10	(3,731)	2,009
გადახდილი ავანსები	11	92	(88)
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	15	(2,284)	(542)
სახელშეკრულებო ვალდებულებები		91	(1,212)
გადახდილი მოგების გადასახადი		(44)	(211)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი, გარდა ვადიანი დეპოზიტისა		47	-
საპროცენტო ხარჯი		(75)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		11,215	18,666
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(8,227)	(7,325)
მეკავშირე საზოგადოებაში წილის შეძენა	9	(600)	-
ვადიანი დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	12	4,113	412
ვადიან დეპოზიტებზე თანხების განთავსება	12	(39,995)	(11,100)
ვადაგასული ვადიანი დეპოზიტებიდან თანხების გამოტანა	12	34,069	6,184
ფული საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		(10,640)	(11,829)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან		5,291	-
ნასესხები სახსრების გადახდა		(5,363)	-
იჯარის ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა		(90)	-
კომპანიის მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	16	(1,543)	(7,365)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		(1,705)	(7,365)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(86)	(68)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში			
		3,327	3,923
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს			
	13	2,111	3,327

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 42 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს დემასი-ს („კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დემასი დაარსდა 2000 წლის 3 მარტს, საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით. კომპანია იურიდიულ პირად დარეგისტრირებულია გლდან-ნამალადევის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 200066221.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები არიან ბატონი მალხაზ საბაძე (50%) და ბატონი დევანოზ ინასარიძე (50%). კომპანიის პარტნიორები ასრულებენ აღმასრულებელი დირექტორების მოვალეობას და ჩართულები არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ძირითადი საქმიანობა და საქმიანობის ადგილი. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ევროპისა და აზიის მწარმოებლებისგან იმპორტირებული სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა საქართველოში.

კომპანია მართავს და პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს თბილისში მდებარე ორი სავაჭრო ცენტრის მეშვეობით: „გალერეა დემასი“, მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო „იდეალი“ - დავით აღმაშენებლის გზატკეცილის მეცხრე კილომეტრზე. ოპერაციების გაფართოების მიზნით, კომპანიამ 2018 წელს დაიწყო „იდეალის“ მშენებლობა ქალაქ ბათუმში (შენიშვნა 26).

ამასთანავე, 2016 წლის 1 იანვარს გაფორმებული ფრანჩაიზის ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია ახორციელებს პროდუქციის რეალიზაციას ქალაქ ქუთაისში მდებარე სავაჭრო ცენტრის მეშვეობითაც.

2019 წლის 1 ოქტომბერს, კომპანიამ შეიძინა 49%-იანი წილი შპს ცისარტყელაში, რომელიც კომპანიისთვის წარმოადგენს ინვესტიციას მეკავშირე საზოგადოებაში (იხ. შენიშვნა 9).

მისამართი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. გარდა ფასს 16 „იჯარის“-ის, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 და 27-ე შენიშვნები). 2018 წლის 31 დეკემბრამდე იჯარაზე გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოებია, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებენ მათ, და, როგორც წესი, კომპანია მათი ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე ფლობს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიცია აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდით და მათი საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, მეკავშირე საწარმოს მოგება/ზარალის იმ წილით, რა წილსაც ფლობს კომპანია შეძენის თარიღის შემდეგ. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობით მცირდება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში კომპანიის წილის შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები შემდეგნაირად აღიარდება: (i) კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის სახით; (ii) სხვა სრულ შემოსავალში კომპანიის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და მისი წარდგენა ცალკე ხდება; (iii) მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში კომპანიის წილის ყველა სხვა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალში კომპანიის წილი ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, სხვა ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩათვლით, კომპანია აღარ აღიარებს დამატებით ზარალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას წარმოექმნება მოვალეობები ან გადახდებს განახორციელებს მეკავშირე საწარმოს სახელით.

კომპანიასა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება მეკავშირე საწარმოში კომპანიის წილის ოდენობამდე; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია წარმოქმნის გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველს.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ“).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც, „წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან“.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ თარიღის გაცვლითი კურსით, რომელშიც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების ლარში გადაანგარიშება, იყო შემდეგი: ამერიკული დოლარი ('\$') 1 = ლ 2.8677 და ევრო ('€') 1 = ლ 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბრისთვის: \$1 = ლ 2.6766 და €1 = ლ 3.0701;). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და დაუმთავრებელ მშენებლობებს, რომლებიც მომავალში ძირითადი საშუალებების სახით იქნება გამოყენებული.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალრულ შეფასებში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები	20
ავტომობილები	5
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	5
საიჯარო გაუმჯობესებები	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო იჯარის ვადას შორის უმცირესი პერიოდი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღება აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანიას პარტნიორებისგან და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან იჯარით იღებს შენობასა და მიწას. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, იჯარისა და არა-საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ხელშეკრულებაში საზღაურს მიაკუთვნებს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გახადების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება საერთო გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება, რომ მას ექნება შემდგომი შესყიდვის შესაძლებლობა, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურდება მოცემული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

მიწა

3-დან 20-წლამდე

შენობა-ნაგებობა

3-დან 10 წლამდე

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზეზს ერთად, და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

შენობა-ნაგებობების სახით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 20 წლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე. თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა იყოს გაუფასურებული, კომპანია აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც 'საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები' (შენიშვნა 20). გამოთქმავებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც 'საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან' (შენიშვნა 8). საინვესტიციო ქონების გასვლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება, როგორც ამონაგები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აღირიცხება წლის მოგება-ზარალში.

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოღინება და თუ შესაძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას საკუთარ საოპერაციო საქმიანობაში, ასეთი ქონება გადადის საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

შემძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელსაც აკონტროლებს კომპანია, აღირიცხება არამატერიალური აქტივების სახით, თუ მოსალოდნელია ნაზრდი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებსა და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად, მისი მოვლა-შენახვის ხარჯები, გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 5-10 წლის განმავლობაში.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ემპირიული ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე)

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება.

მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ ("FVTPL"), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ ("FVOCI") და ამორტიზებული ღირებულებით ("AC"). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ("FVTPL").

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”).

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესაძარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (‘ECL’). კომპანია პერსპექტიულად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალ ინსტრუმენტებისთვის.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი ოდენობა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) გონივრული და ღირებული ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალ ინსტრუმენტები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით, წმინდა.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

კომპანია ვადიანი დეპოზიტების და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურების შეფასებისთვის საერთო სამ ეტაპიან მოდელს იყენებს, რომელიც დამყარებულია თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ზარალის ცვლილებაზე. ვადიანი დეპოზიტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ვადიანი დეპოზიტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება თანხით, რომელიც წარმოადგენს ამ ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საკრედიტო შემთხვევის დადგომისას შემდეგი 12 თვის განმავლობაში, ან ამ ინსტრუმენტის კონტრაქტული ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა (‘12 თვიანი საკრედიტო ზარალი’). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გამოვლინდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (‘SICR’), აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ეს მოქმედია სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე მაგრამ ითვალისწინებს მოსალოდნელ გადახდილ ავანსებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში („მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). იხილეთ შენიშვნა 2, სადაც აღწერილია, თუ განსაზღვრავს SICR-ის არსებობას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, აქტივი გადადის მესამე ეტაპზე და მისი ECL-ი ფასდება როგორც მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიის აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის განმარტებები ახსნილია 22-ე შენიშვნაში. 22-ე შენიშვნა გვაწვდის ინფორმაციას შენატანების, დასკვნებისა და შეფასების ტექნიკის შესახებ, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად და ასევე განმარტავს, თუ როგორ იყენებს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, ამ შესაძლებლობის გამოყენება შეუძლია ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით ('AC'), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მიანიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up“) მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთ გადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდაზე. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მანც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვადიანი დეპოზიტები. ვადიანი დეპოზიტები ის დეპოზიტებია, რომელიც ინახება ბანკებში და რომლის თავდაპირველი დაფარვის ვადაც სამ თვეზე მეტია.

ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან კლასიფიცირდება როგორც ფინანსური შემოსავალი „საპროცენტო შემოსავალი ვადიან დეპოზიტებზე“ და წარდგენილია, როგორც „ფინანსური შემოსავალი“ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფინანსური შემოსავალი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარდგენილია საინვესტიციო საქმიანობის ნაწილში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით.

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, და

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ საკუთრების იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ კომპანიას და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს,
- იყენებს მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტორებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია. დაბალდირებულებიანი აქტივები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობას და საოფისე ავეჯის მცირე ზომის მუხლებს 10 ათასი ლარის ან ნაკლები ოდენობის ღირებულებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აგროსილზე' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში (შენიშვნა 20).

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთაც 20% ან მეტი აქვთ დღგ-ის გან გათავისუფლებული ბრუნვა.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში მეთოდის გამოყენებით. მარაგის თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, იმპორტის გადასახადებისგან, სხვა არა აღდგენადი გადასახადებისგან, ტრანსპორტირებისა და გადატვირთვის ღირებულებისაგან და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისაგან, შემცირებული ფასდაკლებებით და მსგავსი კომპონენტებით, რომელიც გაიწევა მარაგების მიმდინარე კონდიციამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით. მარაგები რომლებიც გამოიყენება მშენებლობისთვის კლასიფიცირდება როგორც სამშენებლო მასალები და აისახება კომპანიის გრძელვადიან აქტივებში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიან. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 26).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

საქონლის რეალიზაცია. კომპანია ახორციელებს სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალების იმპორტს და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას (შენიშვნა 1). რეალიზაცია ხორციელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე და აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, დაძველებისა და დაკარგვის რისკი გადაეცემა მომხმარებელს და/ან მომხმარებელი მიიღებს პროდუქციას ხელშეკრულების მიხედვით, ან მიღების ვადა ამოიწურება, ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებული იყო.

კომპანია არ ახდენს რეალიზაციას მოცულობითი ფასდათმობებით. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება ხელშეკრულებაში მოცემული თანხის მიხედვით.

კომპანიის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ან საავანსო გადახდის ან პროდუქციაზე კონტროლის გადაცემის მომენტში ანგარიშსწორების პირობით. იშვიათ შემთხვევებში, ანგარიშსწორება შეიძლება გადავადდეს, თუმცა გადავადება არასოდეს სცილდება 12 თვეს, შესაბამისად, დაფინანსების კომპონენტი არ ითვლება არსებითად და გარიგების გასი არ არის დაკორექტირებული მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნა აღიარდება მაშინ, როდესაც პროდუქცია მიწოდებულია და ეს დროის ის მომენტია, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, და მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო გადახდის მომენტის დადგომამდე.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების არსებობას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის მომხმარებლისადმი გადაცემის მომენტიდან პროდუქციის

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს. შესაბამისად, არ ახდენს გარიგების ფასის კორექტირებას დროში ფულის ღირებულების გასათვალისწინებლად.

დამატებითი დანახარჯები. კომპანია მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმების დამატებით დანახარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება. ხელშეკრულების გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენენ ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა ხელშეკრულების გაფორმება.

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების დაფარვა სრულად ხდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა ხელშეკრულება. კომპანიის ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი ხარჯები შემოიფარგლება რეალიზაციის საკომისიოთი, რომლებიც უმეტესწილად ეხება მოკლევადიან (1 წელზე ნაკლები პერიოდის) ან ერთჯერად ხელშეკრულებებს. კომპანია იყენებს პრაქტიკულ ხერხს და რეალიზაციის საკომისიოს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღრიცხავს როგორც 'რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯების' (შენიშვნა 19) მათი წარმოშობისას.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანიას უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, ასეთ ხელშეკრულებებს საწარმო წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ ორი მოვლენიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობას. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თადაპირველი აღიარება. ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება გადაწყვიტა მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. ქონების იჯარით გადაცემისთვის აქტივის გამოყენების უფლება ფასდება გადაცემისას, ისე, თითქმის ახალი წესი ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა აქტივის გამოყენების უფლება ფასდება იჯარის ვალდებულების თანხით სტანდარტის მიღებისას (დაკორექტორებულია ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის პირველად გამოყენებაში, კომპანიამ გამოიყენა სტანდარტით დაშვებული შემდეგი გამარტივებული მიდგომები:

- მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო პორტფელთან მიმართებით ერთი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

კომპანიამ აირჩია არ გადაეფასებინა ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა, ან მოიცავს თუ არა იჯარას, თავდაპირველის მიღების თარიღისთვის. ამის ნაცვლად, იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც გაფორმდა გადასვლის თარიღამდე, კომპანია ეყრდნობოდა მის მიერ განხორციელებულ შეფასებას, რომელიც გაკეთა ასს 17-ის „იჯარა“, და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭო (IFRIC) 4 „იმის განსაზღვრება, შეთანხმება მოიცავს თუ არა იჯარას“ მიღებისას.

კომპანიის საიჯარო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთად განისაზღვრა 10.9%, რომელიც წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს.

**31 დეკემბერი 2018 /
1 იანვარი 2019**

ათასი ლარი

სულ სამომავლო მინიმალური იჯარის გადახდები შეუქცევადი* საოპერაციო იჯარებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	704
- მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირების ეფექტი	(224)

სულ საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

480

რომელთაგან შემდეგი არიან:

მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	90
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	390

* შეუქცევადი იჯარა მოიცავს ისეთ იჯარებს, რომლების შეწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ: (ა) გარკვეული შორეული გაუთვალისწინებელი ვითარების დადგომისთანავე, (ბ) მეიჯარის ნებართვით, (გ) თუ მოიჯარე ოცივე ან ეკვივალენტი აქტივის სხვა იჯარას გააფორმებს ან (გ) მოიჯარის მიერ ისეთი დამატებითი თანხის გადახდისას, რომელიც, იჯარის დაწყების დროს, მისი გაგრძელება გონივრულად გარკვეულია.

ცვლილებამ სააღრიცხვო პოლიტიკაში გავლენა იქონია 2019 წლის 1 იანვარს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემდეგ მუხლებზე:

ათასი ლარი

ფასს 16-ის გავლენა

აქტივის გამოყენების უფლების ზრდა	480
შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	480

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან)
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ასს 28 „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება - ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამ სამომავლო ცვლილებებს კომპანია გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმის შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ასს 39 -ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს „მაღალი ალბათობით მოსალოდნელი“. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროგნოზო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამონაკლისი რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შედავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამიზნული იყო ამ

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას, შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტირებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართვას ის გადასვლის პროცესს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ასს 16, ასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოკვეთვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი. ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ასს 37-ით.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგენ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა შეღავათით სარგებლობის საშუალება რომელიც გამოხატულია არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით და აფასებს წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის კონცესიას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს ქირავნობის კონცესიის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება კონცესიის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ ქირავნობის კონცესიებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის სხვა ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. თუ მოიჯარე არჩევს იჯარისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას, მას მოუწევდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თანმიმდევრულად იმ ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე გამოყენება, რომელსაც გააჩნია მსგავსი მახასიათებლები და მსგავსი გარემოებები. შესწორება უნდა იქნეს გამოყენებული რეტროსპექტიულად ასს 8-სთან შესაბამისობაში, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდების ციფრების გადაანგარიშება ან ასს 8-ს 28(ფ) ქვეპუნქტის მიხედვით გამჟღავნების უზრუნველყოფა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	10,622	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,325	3,065	-	-
საიჯარო ვალდებულებები	390	-	-	-

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო
საპროცენტო ხარჯი	(46)	-	-	-
მეკავშირე საწარმოს პერიოდის ზარალი	-	(262)	-	-
საიჯარო ხარჯი	-	-	(135)	-

კომპანიას პარტნიორებისგან და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან საოპერაციო იჯარით აღებული აქვს გაღერვა დემასის შენობა შესაბამისი მიწის ნაკვეთით და 20 წლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ორი მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სავაჭრო ცენტრი იდეალი და კომპანიის სასაწყობო მეურნეობა.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურება. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან: მალხაზ საბაძე და დევიანოზ ინასარიძე, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ კომპანიის პარტნიორებს (შენიშვნა 1).

2019 წლის განმავლობაში, მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ შეადგინა 340 ათასი ლარი (2018: 340 ათასი ლარი).

შპს დემასი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითად საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი:

<i>ათასი ლარი</i>	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტომობი- ლები	საოფისე აღჭურვილობა და სხვა ავეჯი	საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	სხვა	დაუსრულებე- ლი მშენებლობა*	სულ ძირითადი საშუალებები	საინვესტიციო ქონება
ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	13,283	1,307	562	177	982	2,898	19,209	6,651
დაგროვილი ცვეთა	(1,443)	(1,203)	(486)	(166)	(670)	-	(3,968)	(1,962)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	11,840	104	76	11	312	2,898	15,241	4,689
დამატებები	3,685	270	20	318	175	2,404	6,872	-
ტრანსფერები	3,078	-	-	19	-	(3,097)	-	-
გასვლები	(30)	-	-	-	(66)	-	(96)	-
ცვეთის ხარჯი	(416)	(112)	(41)	(59)	(107)	-	(735)	(333)
გასვლისას ლიკვიდირებული	-	-	-	-	66	-	66	-
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	18,157	262	55	289	380	2,205	21,348	4,356
ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბერს	20,017	1,577	582	514	1,091	2,205	25,986	6,651
დაგროვილი ცვეთა	(1,860)	(1,315)	(527)	(225)	(711)	-	(4,638)	(2,295)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	18,157	262	55	289	380	2,205	21,348	4,356
დამატებები	4,605	36	164	65	144	2,255	7,269	-
ტრანსფერები მარაგებიდან/სამშენებლო მასალებიდან	212	-	-	35	111	1,555	1,913	-
გასვლები	-	-	(21)	-	(111)	-	(132)	-
ცვეთის ხარჯი	(568)	(89)	(28)	(88)	(107)	-	(880)	(332)
გასვლისას ლიკვიდირებული	-	-	21	-	111	-	132	-
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	22,406	209	191	301	528	6,015	29,650	4,024
ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბერს	24,833	1,613	725	614	1,235	6,015	35,035	6,651
დაგროვილი ცვეთა	(2,427)	(1,404)	(534)	(313)	(707)	-	(5,385)	(2,627)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	22,406	209	191	301	528	6,015	29,650	4,024

(*) დაუსრულებელი მშენებლობის განმარტება მოცემულია შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაში (შენიშვნა 3).

8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს ქალაქ ბათუმში მიმდინარე სავაჭრო ცენტრის მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ დაუმთავრებელ მოწყობილობებს. სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2020 წელში, რის შედეგადაც დაუმთავრებელი მშენებლობა გადავა შენობა-ნაგებობების კატეგორიაში (შენიშვნა 26).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება მოიცავს ოთხ კომერციულ ფართს მთლიანი ფართობით 829 კვადრატული მეტრი, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე - პეკინის გამზირი, თბილისი, საქართველო. მისი რეალური ღირებულება 6,906 ათასი ლარია (31 დეკემბერი 2018: 6,906 ათასი ლარი). კომერციული ფართები ქირავდება სხვადასხვა მოიჯარეებზე 1-დან 5 წლამდე საიჯარო პერიოდით. რეალური ღირებულების შეფასების დეტალები მოცემულია 25-ე განმარტებით შენიშვნაში. საინვესტიციო ქონების გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც 'საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი', რომელმაც 2019 წელს შეადგინა 778 ათასი ლარი (2018: 722 ათასი ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გაფორმებული ქონდა გენერალური ხელშეკრულება სს პრო კრედიტ ბანკთან, რომლის მიხედვითაც, კომპანიას შეუძლია საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობა 800 ათასი აშშ დოლარის ლიმიტის ფარგლებში. სანაცვლოდ, კომპანიას ბანკის სასარგებლოდ უზრუნველყოფაში აქვს ჩადებული ორი მიწის ნაკვეთი ღირებულებით 1,440 ათასი ლარი.

9 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2019 წლის 1 ოქტომბერს კომპანიამ შპს ცისარტყელაში შეიძინა 49%-იანი წილი. შპს ცისარტყელას საკმიანობას წარმოადგენს სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება. კომპანიის მეკავშირე საწარმოს აქციები არ ივაჭრება საჯაროდ. მოძრაობა მეკავშირე საწარმოებში:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
წილის შეძენა მეკავშირე საწარმოში	5,925	-
კაპიტალის ზრდა მეკავშირე საწარმოში	4,959	-
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი	(262)	-
მიმდინარე ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,622	-

10 მარაგები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სარეალიზაციო პროდუქცია	17,139	16,269
საქონელი გზაში	2,091	1,238
სხვა მარაგები	196	57
მარაგები, სულ	19,426	17,564

2019 წლის განმავლობაში რეალიზებული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 32,099 ათასი ლარი (2018 წელს: 34,976 ათასი ლარი). მარაგები ღირებულებით 19,230 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 17,507 ათასი ლარი;) შეფასებულია წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით.

11 გადახდილი ავანსები

გადახდილ ავანსებში მოძრაობა:

ათასი ლარი	ავანსები მარაგებისთვის	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	სხვა ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	827	470	23	1,320
დამატებები	24,749	683	652	26,084
შესაბამისი საქონელის ან სერვისის მიღების შედეგად შეწყვეტილი ავანსები	(24,652)	(968)	(661)	(26,281)
გაუფასურების ანარიცხი	(401)	-	-	(401)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	523	185	14	722
დამატებები	24,116	2,378	528	27,022
შესაბამისი საქონელის ან სერვისის მიღების შედეგად შეწყვეტილი ავანსები	(24,258)	(1,420)	(478)	(26,156)
ავანსები 2019 წლის 31 დეკემბერს, სულ	381	1,143	64	1,588

12 ვადიანი დეპოზიტები

ანგარიშგების თარიღისათვის ვადიანი დეპოზიტები შეჯამებულია ქვემოთ:

ათასი ლარი	სახელშეკრუ- ლებო ოდენობა (‘000)	პირველ- ადი ვალუტა	შეთანხმების თარიღი	ვადის ამოწურვ-ის თარიღი	ეფექტური საპროცენ- ტო განაკვეთი ყოველ წელზე	2019 წლის 31 დეკემ- ბერი	2018 წლის 31 დეკემ- ბერი
სს ქართუ ბანკი	7,000	USD	09/17/2019	09/06/2021	6.00%	20,420	-
სს ქართუ ბანკი	3,500	USD	05/31/2018	05/20/2020	6.00%	10,993	9,698
სს ქართუ ბანკი	3,500	USD	10/23/2019	10/12/2021	6.00%	10,150	-
სს ქართუ ბანკი	3,000	USD	11/14/2019	11/03/2021	5.75%	8,668	-
სს ქართუ ბანკი	1,000	USD	07/17/2018	07/06/2020	6.00%	3,118	2,750
სს ქართუ ბანკი	6,000	USD	09/25/2017	09/15/2019	6.00%	-	17,279
სს ქართუ ბანკი	3,000	USD	11/02/2017	10/23/2019	6.25%	-	8,613
სს ქართუ ბანკი	2,500	USD	11/24/2017	11/14/2019	6.25%	-	7,152
ვადიანი დეპოზიტები, სულ						53,349	45,492

ხელმძღვანელობა თავისუფალ ფულად სახრებს აბანდებს საქართველოში არსებული ბანკების გრძელვადიან დეპოზიტებში. დეპოზიტორების საკრედიტო რეიტინგი მოცემულია მე-13 განმარტებით შენიშვნებში. კომპანიის არცერთი გრძელვადიანი დეპოზიტი არ იყო ვადაგადაცილებული შემდეგი 31 დეკემბერი 2019 და 31 დეკემბერი 2018-ისთვის.

ვადიან დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები აღირიცხება როგორც ფინანსური შემოსავალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელმაც 2019 წლისთვის შეადგინა 2,953 ათასი ლარი (2018: 2,444 ათასი ლარი).

13 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	41	40
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,070	3,287
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სულ	2,111	3,327

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შესაძლებელია შეჯამდეს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის Fitch Ratings-ის მიერ განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგების შესაბამისად, შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	
	მოთხოვნამდე საბანკო ანგარიშები	ვადიანი დეპოზიტები	მოთხოვნამდე საბანკო ანგარიშები	ვადიანი დეპოზიტები
- BB+ რეიტინგით	1,927	-	3,089	-
- BB რეიტინგით	11	-	10	-
- BB- რეიტინგით	131	-	188	-
- B+ რეიტინგით	-	-	-	-
- B რეიტინგით	1	53,349	-	45,492
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები და ვადიანი დეპოზიტები	2,070	53,349	3,287	45,492

14 ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები:

	სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები ფინანსური აქტივობიდან 31 დეკემბერი 2018 მდგომარეობით	-	-	-
ახალი სტანდარტის მიღება	-	480	480
ვალდებულებები ფინანსური აქტივობიდან 31 დეკემბერი 2018 მდგომარეობით	-	480	480
ფულადი ნაკადები, გარდა გადახდილი პროცენტისა	(72)	(90)	(162)
დარიცხული პროცენტი	29	46	75
გადახდილი პროცენტი	(29)	(46)	(75)
გადაფასება უცხოურ ვალუტაში	72		72
ვალდებულებები ფინანსური აქტივობიდან 31 დეკემბერი 2019 მდგომარეობით	-	390	390

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს		
შესყიდვისთვის	5,325	-
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს მიმართ	3,065	-
სავაჭრო ვალდებულება	130	200
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში	8,520	200
თანაშრომელთა დარიცხული ხელფასი	133	132
საგადასახადო ვალდებულებები	224	676
სხვა	2	13
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	8,879	1,021

3,065 ათასი ლარის (2018 წლის 31 დეკემბერი: ნული ლარი) ღირებულების სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გამოსახულია აშშ დოლარში.

16 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 2 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სრულად იყო შეტანილი ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

2019 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 1,543 ათასი ლარი (2018 წელი: 7,365 ათასი). ყველა დივიდენდი გამოცხადდა და გადახდილი იქნა ლარში.

17 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები

კომპანიას ახდენს პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში:

ათასი ლარი	2019	2018
პროდუქციის რეალიზაცია	56,605	60,346
სულ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები	56,605	60,346

18 გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2019	2018
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	32,099	34,976
მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე დაყვანის შედეგი	-	19
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	32,099	34,995

19 რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები

ათასი ლარი	2019	2018
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	2,867	2,694
რეალიზაციის საკომისიო	908	641
ძირითადი საშუალებების ცვეთა	880	735
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯი	412	260
კომუნალური ხარჯი	252	237
ბანკის და სხვა საკომისიოები	217	219
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	106	-
საოპერაციო საიჯარო ხარჯი ძირითადი საშუალებებისთვის	-	135
სხვა	430	538
სულ რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები	6,072	5,459

20 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი	2019	2018
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	1,973	1,725
საინვესტიციო ქონების ცვეთა	332	333
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	312	322
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	221	172
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურება	157	102
რემონტისა და შეკეთების ხარჯები	97	4
ტელე საკომუნიკაციო ხარჯები	61	58
გადახდილი ავანსების გაუფასურება	-	401
სხვა	285	332
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	3,438	3,449

21 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ანარიცხი შექმნილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

22 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას (შენიშვნა 12), პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაგენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ვადიანი დეპოზიტები (შენიშვნა 12)	53,349	45,492
სავაჭრო მოთხოვნები	296	333
მოთხოვნამდე საბანკო ანგარიშები (შენიშვნა 13)	2,070	3,287
საბალანსო უწყისზე არსებული მოცულობა, სულ	55,715	49,112
საკრედიტო რისკების მაქსიმალური მოცულობა, სულ	55,715	49,112

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მისაღები რისკის ოდენობაზე ზღვრების დაწესებით ერთ კონტრაგენტთან, ან კონტრაგენტების ჯგუფთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება პროდუქტისა და დარგის მიხედვით ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების მონიტორინგი ხორციელდება მუდმივ რეჟიმში და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის მონიტორინგის განსახორციელებლად, იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნეს და ფინანსურ წარმატებაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტ უნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების წარმატებას და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცდილებულ ნაშთებს.

საკრედიტო რისკის ქულების მინიჭების სისტემა. საკრედიტო რისკის შესაფასებლად და საკრედიტო რისკის დონის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ქულების მისანიჭებლად კომპანია იყენებს გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს Fitch Ratings-ის მიერ შეფასებულ რისკის ქულებს. ეს რეიტინგები საჯაროა. მსგავსი რეიტინგები და შესაბამისი დეფოლტის ალბათობის ინტერვალი ("PD"), გამოიყენება ვადიანი დეპოზიტებისათვის და ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი ("EAD") არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. როგორც წესი, ის გამოისახება, როგორც EAD-ის პროცენტი.

PD შეფასების მიზნებისთვის, კომპანია საზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს შეესაბამება:

- კონტრაგენტმა 90 დღეზე მეტი გადააცილა გადახდის სახელშეკრულებო ვადებს;
- საერთაშორისო რეიტინგების სააგენტოებმა კონტრაპენტი შეიყვანეს დეფოლტის რეიტინგის კლასიფიკაციაში.

იმის შეფასება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR"), ხორციელდება ინდივიდუალურად. ვადიანი დეპოზიტებისათვის, SICR-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მონიტორინგის გამოყენებით. SICR-ის გამოვლენისთვის გამოყენებული კრიტერიუმების მონიტორინგი და მათი სათანადოობა პერიოდულად გადაისინჯება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. უარყოფადი ვარაუდი, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, თუ ფინანსური აქტივზე მისაღები თანხები 30 დღეზე მეტია ვადაგადაცილებამა, არ უარყოფილა.

კომპანია მიიჩნევს, ვადიანი დეპოზიტები განიცდის SICR-ს, როდესაც ქვემოთ მოცემული ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი ან რამოდენიმე დაკმაყოფილდება:

- 30 დღით ვადა გადაცილება;
- გარე რეიტინგის შემცირება 3-ზე მეტი ნიშნულით;
- კომპანიისთვის ხელმისაწვდომი სხვა ხარისხობრივი ინდიკატორი.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ECL-ის დონე დამოკიდებულია იმაზე, მსესხებლის საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს ECL-ის შეფასების სამ-ეტაპიანი მოდელია. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის კრედიტი გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას და მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ იზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქვს 12-თვიანი ECL-ზე დაფუძნებული საკრედიტო რისკის ანარიცხი (1-ლი ეტაპი). კომპანიის ვადიანი დეპოზიტები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლების საკრედიტო რეიტინგები მოცემულია შენიშვნა 13-ში. კომპანიის ვადიანი დეპოზიტებისათვის არ გამოვლენილა SICR-ი და შესაბამისად, საკრედიტო ზარალის ანარიცხები შეფასდება 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეშვეობით.

თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოვლინდა SICR-ის ზრდა, ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-2 ეტაპზე, მაგრამ ის გაუფასურებული კრედიტის მქონედ არ მიიჩნევა და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში ECL-ს. ფინანსური ინსტრუმენტის კრედიტის გაუფასურების შემთხვევაში ეს ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-3 ეტაპზე და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში ECL-ს. აქტივის მე-3 ეტაპზე არსებობის შედეგია ის, რომ საწარმო წყვეტს მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე საპროცენტო შემოსავლის აღიარებას და საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, ECL-ის გარეშე.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR-ის კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ინსტრუმენტს ისევ 1-ელ ეტაპზე აბრუნებენ. თუ რისკი მე-2 ეტაპზე გადაიტანება ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, კომპანია ახორციელებს მონიტორინგს, ეს ინდიკატორი ისევ არსებობს თუ შეიცვალა.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ECL შესაფასებლად კომპანიის მიდგომა ეფუძნება გარე რეიტინგებს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გამოთვლებში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობა.

გარე რეიტინგის საფუძველზე შეფასების პრინციპები. გარკვეული საკრედიტო რისკის გარე შეფასება არსებობს, რასაც იყენებენ საკრედიტო რისკის პარამეტრების, PD-სა და LGD-ს შესაფასებლად, ისევე როგორც სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას ამოღების შესახებ. ეს მიდგომა გამოიყენება ვადიანი დეპოზიტებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ორივე, SICR-ის შეფასება და ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის მთავარი ეკონომიკური ცვლადი, რომელიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან, აქედან გამომდინარე, გავლენას ახდენს ბანკების ვალდებულებების შესრულებაზე. დამატებით, მსესხებლის პერსპექტიული ინფორმაციის ჩართვისათვის კომპანია თვალყურს ადევნებს მსესხებლის საკრედიტო რეიტინგს, რომელიც გამოქვეყნებულია გარე სარეიტინგო სააგენტოების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის რეიტინგი უარყოფითი/საყურადღებოა კომპანიამ შესაძლებელია დააკორექტიროს მიმდინარე რეიტინგი პერსპექტივის დასაბუთებაზე, სხვა რელევანტური ინფორმაციაზე და ექსპერტების განსჯაზე დაყრდნობით.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს თავის მეთოდოლოგიასა და დაშვებებს, რათა შეამციროს განსხვავება შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ეს შემოწმება წელიწადში ერთხელ ტარდება.

ECL-ის შეფასების მეთოდოლოგიის შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ხელმძღვანელობას და მოდელებისა და დაშვებების დახვეწის ღონისძიებები განისაზღვრება უფლებამოსილი პირების მიერ განხილვის შემდეგ.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები ნაკლებადაა დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნებთან, რადგან ბიზნესი მოწყობილია იმგვარად, რომ თავს არიდებს კრედიტით გაყიდვებს. უმეტეს შემთხვევაში წინასწარ ხდება ანგარიშსწორება და დებიტორული დავალიანების ანგარიშის ბალანსი შენარჩუნებულია დაბალ მაჩვენებელზე.

კომპანიის კონცენტრაციის რისკი დაკავშირებულია ვადიან დეპოზიტებთან 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის დეპოზიტები განთავსებულია ერთ ბანკში, სს ქართუ ბანკში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 ბანკში). რისკი იმართება იმით, რომ ვადიანი დეპოზიტები განთავსებულია ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთაც სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი აქვთ საკრედიტო რეიტინგების შემფასებელი დამოუკიდებელი ორგანიზაციის (Fitch) მიხედვით (მე-13 შენიშვნა). მოვალეობის გადამხდელ უნარიანობა რეგულარულად გადის მონიტორინგს ხელმძღვანელობას მხრიდან, რათა გამოვლენილ იყოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებების ადრეულ საფეხურზე.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის

ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2019 წლის 31 დეკემბერი			2018 წლის 31 დეკემბერი		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულე ბები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულ ებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ათასი ლარი						
აშშ დოლარი	55,174	3,148	52,026	47,548	141	47,407
ევრო	-	2	(2)	808	4	804
ლარი	580	5,761	(5,181)	412	71	341
რუბლი	-	-	-	24	-	24
სულ	55,754	8,911	46,843	48,792	216	48,576

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

<i>ათასი ლარი</i>	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გამყარება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გამყარება 20%-ით)	(10,405)	(9,481)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გაუფასურება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გაუფასურება 20%-ით)	10,405	9,481
ევროს გამყარება 20% (31 დეკემბერი 2019: გამყარება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გამყარება 20%-ით)	-	(161)
ევროს გაუფასურება 20% (31 დეკემბერი 2019: გაუფასურება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გაუფასურება 20%-ით)	-	161
რუსული რუბლის გამყარება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გამყარება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გამყარება 20%-ით)	-	(5)
რუსული რუბლის გაუფასურება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გაუფასურება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გაუფასურება 20%-ით)	-	5

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

კომპანია მნიშვნელოვნად ექვემდებარება სავალუტო, განსაკუთრებით აშშ დოლარის რისკს. სავალუტო რისკი წარმოიქმნება სამომავლო გარიგებებისა და აღიარებული აქტივებისგან (ძირითადად ვადიანი დეპოზიტები) და ვალუტით (რომელიც არ არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა) გამოსახული ვალდებულებებისგან. სავალუტო რისკი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რადგან ზოგადად ყველა მარაგის შეძენა ხორციელდება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც უცხოურ ვალუტაში ახდენენ ანგარიშსწორებას. უცხოური ვალუტით გამოსახული ფინანსური აქტივების მაჩვენებლები ყალიბდება კომპანიის მოლოდინებისგან სამომავლო მარაგების შესყიდვებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები.

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო ცვლილების ან დაფარვის ვადების მიხედვით:

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	ჯამი
31 დეკემბერი 2019					
სულ ფინანსური აქტივები	2,366	-	14,111	39,238	55,715
სულ ფინანსური ვალდებულებები	(8,520)	-	-	-	(8,520)
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2019 წლის 31 დეკემბერს	(6,154)	-	14,111	39,238	47,195
31 დეკემბერი 2018					
სულ ფინანსური აქტივები	3,661	-	33,044	12,448	49,153
სულ ფინანსური ვალდებულებები	(200)	-	-	-	(200)
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2018 წლის 31 დეკემბერს	3,461	-	33,044	12,448	48,953

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან არც ფინანსურ აქტივებს და არც ფინანსურ ვალდებულებებს არ გააჩნიათ ცვლადი საპროცენტო განაკვეთები და ეს რისკი უმნიშვნელოდაა მიჩნეული. ვადიან დეპოზიტებზე არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია შენიშვნა 13-ში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

კომპანია ფონდების ინვესტირებას ახორციელებს ვადიან დეპოზიტებში დივერსიფიცირებულს ვადიანობით, რათა შემოსოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მის ექვივალენტებს (შენიშვნა 13) და ვადიან საბანკო დეპოზიტებს (შენიშვნა 12). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს და საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებული იქნეს ფულად სახსრებად ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მოკლევადიანი ხასიათისაა და ექვემდებარება გადახდას 1 თვემდე ვადაში შეადგენს 8,655 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერს: 345 ათას ლარს).

23 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი

23 კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის გარე სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნები.

24 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვიდით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია. რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი				2018 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
ფული და ფულის ექვივალენტები	-	2,111	-	2,111	-	3,327	-	3,327
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	-	-	296	296	-	-	333	333
ვადიანი დეპოზიტები	-	53,349	-	53,349	-	45,492	-	45,492
არა ფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება								
თვითღირებულები	-	-	6,906	6,906	-	-	6,906	4,357
სულ აქტივები	-	55,460	7,202	62,662	-	48,819	7,239	53,509
ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	-	-	8,520	8,520	-	-	200	200
სულ ვალდებულებები	-	-	8,520	8,520	-	-	200	200

24 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრა საინვესტიციო ქონებისთვის. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებელი კომპანიის მიერ, რომელიც ფლობს აღიარებულ და შესაბამის პროფესიულ ხარისხს, რომელსაც აქვს აქტივების შეფასების უახლესი გამოცდილება მსგავს ტერიტორიასა და კატეგორიაში. შედარების პროცესში, მათ გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (დარეგისტრირებული გაყიდვა ან შეთავაზება გაყიდვაზე), რომელშიც ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობებით. აქტივების რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო და შემოსავლების მეთოდის კომბინაციით. გამომდინარე საინვესტიციო ქონების ბუნებიდან შემოსავლების მეთოდს მიენიჭა უფრო მაღალი წონა. რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით გამოყენებული შეფასების ტექნიკა და ინფორმაცია იყო შემდეგი სახის:

შეფასების ტექნიკა		არაემპირიული მონაცემები	მონაცემების სპექტრი (საშუალო შეწონილი)	
			2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ათასი ლარი				
საინვესტიციო საკუთრება	შემოსავლების მეთოდი	იჯარის საფასური 1 კვადრატულ მეტრზე	0.096 - 0.102 (0.096)	0.096 - 0.102 (0.096)
		ფასი 1 კვადრატულ მეტრზე	8 - 9 (8.8)	8 - 9 (8.8)
	/საბაზრო მეთოდი	აუთვისებელი ფართის განაკვეთი %	10%	10%
		კაპიტალიზაციის %	10%	10%

რეალური ღირებულებები შეფასდა იერარქიის მეორე და მესამე დონეებით დისკონტირებული ფულადი ნაკადების საშემფასებლო ტექნიკის გამოყენებით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომელიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე შეფასდა საბალანსო ღირებულების თანაბრად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, რომელშიც გამოყენებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, ახალი ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით. საინვესტიციო საკუთრების რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო და საშემოსავლო მიდგომების გაერთიანების გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

25 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (გ) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (დ) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის თავდაპირველ სამართლიან, შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით კატეგორიაში.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება მიეკუთვნება ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიას.

26 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხები. კომპანიამ 2020 წლის მარტში საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად სს პროკრედიტ ბანკისგან საკრედიტო ხაზის ფარგლებში აიღო სესხი 2,700 ათასი ლარის ოდენობით. სესხის მთლიანი თანხა დაბრუნებული იყო 2020 წლის მაისში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ განახორციელა ფულადი სახსრების შეტანა შპს ცისარტყელაში. ჯამურმა თანხამ შეადგინა 260 ათასი ლარი.

ძირითადი საშუალებები. 2020 წლის მაისის ბოლოს, კომპანიამ დაასრულა და გახსნა იდეალის სავაჭრო ცენტრი ქალაქ ბათუმში.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წლის დასაწყისში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

27 სააღრიცხვო პოლიტიკა იჯარებისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდზე და ჩასწორდა ფასს 16, იჯარით შემდეგნაირად.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დემასის ხელმძღვანელობასა და პარტნიორებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს დემასის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ, მმართველობით ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო

ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობასასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

შპს დემასი

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა	5
2 საოპერაციო გარემო	5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	20
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	22
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	27
9 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	28
10 მარაგები	28
11 გადახდილი ავანსები	29
12 ვადიანი დეპოზიტები	29
13 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	30
14 ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	30
15 საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
16 საწესდებო კაპიტალი	31
17 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები	31
18 გაყიდული საქონლის თვითღირებულება	32
19 რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები	32
20 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	32
21 პირობითი ვალდებულებები	33
22 ფინანსური რისკების მართვა	33
23 კაპიტალის მართვა	39
24 რეალური ღირებულების შეფასება	40
25 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	42
26 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	42
27 სააღრიცხვო პოლიტიკა ოკარებისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე	42

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა 2019



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დემასის ხელმძღვანელობასა და პარტნიორებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს დემასის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ, მმართველობით ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო

ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.



ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეკვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC

შპს ფრაისუთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

შპს დენასი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	29,650	21,348
საინვესტიციო ქონება	8	4,024	4,356
აქტივის გამოყენების უფლება		374	-
არამატერიალური აქტივები		95	129
სამშენებლო მასალები		694	738
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები	11	1,143	185
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	9	10,622	-
ვადიანი დეპოზიტები	12	39,238	12,448
სულ გრძელვადიანი აქტივები		85,840	39,204
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	19,426	17,564
გადახდილი ავანსები	11	445	537
საეკსპლუატაციო მოთხოვნები		296	333
ვადიანი დეპოზიტები	122	14,111	33,044
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	2,111	3,327
სულ მიმდინარე აქტივები		36,389	54,805
სულ აქტივები		122,229	94,009
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	2	2
გაუნაწილებელი მოგება		112,009	92,128
სულ კაპიტალი		112,011	92,130
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		291	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		291	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საეკსპლუატაციო და სხვა ვალდებულებები	15	8,879	1,021
საიჯარო ვალდებულება		99	-
სახელმწიფო ვალდებულებები		949	858
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,927	1,879
სულ ვალდებულებები		10,218	1,879
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		122,229	94,009

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 15 ივლისს.


მალხაზ საზაძე
გენერალური დირექტორი




ეკატერინე შერვაშიძე
მთავარი ზუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც დაკავშირებულია 42 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დეზასი
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
მომზარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან მიღებული ამონაგები	17	56,605	60,346
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	18	(32,099)	(34,995)
საერთო მოგება		24,506	25,351
საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი	8	778	722
რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები	19	(6,072)	(5,459)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	20	(3,438)	(3,449)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან		3,150	1,555
საოპერაციო მოგება		18,924	18,720
ფინანსური შემოსავალი	12	2,953	2,444
ფინანსური ხარჯი		(147)	-
ზარალი შეკავშირე საწარმოდან	9	(262)	-
მოგება დაბეგვრამდე		21,468	21,164
მოგების გადასახადის ხარჯი		(44)	(211)
წლის მოგება		21,424	20,953
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		21,424	20,953

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 42 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დემასი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე- ლი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის		2	78,540	78,542
წლის მოგება		-	20,953	20,953
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი 2018 წლისთვის		-	20,953	20,953
გამოცხადებული დივიდენდები	16	-	(7,365)	(7,365)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2	92,128	92,130
წლის მოგება		-	21,424	21,424
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი 2019 წლისთვის		-	21,424	21,424
გამოცხადებული დივიდენდები	16	-	(1,543)	(1,543)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის		2	112,009	112,011

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 42 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დემასი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე			
		21,424	21,164
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	880	735
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		106	-
საინვესტიციო ქონების ცვეთა	8	332	333
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		34	35
საპროცენტო შემოსავალი ვადიან დებოზიტებზე	12	(2,953)	(2,444)
საპროცენტო ხარჯი		75	-
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან		(3,079)	(1,554)
გადახდილი აგანსების გაუფასურება		-	401
სხვა არაფულადი საოპერაციო დანახარჯები		-	58
ზარალი მეკავშირე საწარმოდან		262	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:			
		17,081	18,728
სავაჭრო მოთხოვნები		38	(18)
მარაგები	10	(3,731)	2,009
გადახდილი აგანსები	11	92	(88)
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	15	(2,284)	(542)
სახელშეკრულებო ვალდებულებები		91	(1,212)
გადახდილი მოგების გადასახადი		(44)	(211)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი, გარდა ვადიანი დებოზიტისა		47	-
საპროცენტო ხარჯი		(75)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		11,215	18,666
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(8,227)	(7,325)
მეკავშირე საზოგადოებაში წილის შეძენა	9	(600)	-
ვადიანი დებოზიტებიდან მიღებული პროცენტი	12	4,113	412
ვადიან დებოზიტებზე თანხების განთავსება	12	(39,995)	(11,100)
ვადიან ვადიანი დებოზიტებიდან თანხების გამოტანა	12	34,069	6,184
ფული საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		(10,640)	(11,829)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან		5,291	-
ნასესხები სახსრების გადახდა		(5,363)	-
იჯარის ვალდებულებების ძირი თანხის გადახდა		(90)	-
კომპანიის მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	16	(1,543)	(7,365)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
		(1,705)	(7,365)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(86)	(68)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში			
		3,327	3,923
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს			
	13	2,111	3,327

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 42 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს დემასი-ს („კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დემასი დაარსდა 2000 წლის 3 მარტს, საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით. კომპანია იურიდიულ პირად დარეგისტრირებულია გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 200066221.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები არიან ბატონი მაღლაზ საბაძე (50%) და ბატონი დევანოზ ინასარიძე (50%). კომპანიის პარტნიორები ასრულებენ აღმასრულებელი დირექტორების მოვალეობას და ჩართულები არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ძირითადი საქმიანობა და საქმიანობის ადგილი. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ევროპისა და აზიის მწარმოებლებისგან იმპორტირებული სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა საქართველოში.

კომპანია მართავს და პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს თბილისში მდებარე ორი სავაჭრო ცენტრის მეშვეობით: „გალერეა დემასი“, მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო „იდეალი“ - დავით აღმაშენებლის გზატკეცილის მეცხრე კილომეტრზე. ოპერაციების გაფართოების მიზნით, კომპანიამ 2018 წელს დაიწყო „იდეალის“ მშენებლობა ქალაქ ბათუმში (შენიშვნა 26).

ამასთანავე, 2016 წლის 1 იანვარს გაფორმებული ფრანჩაიზის ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია ახორციელებს პროდუქციის რეალიზაციას ქალაქ ქუთაისში მდებარე სავაჭრო ცენტრის მეშვეობითაც.

2019 წლის 1 ოქტომბერს, კომპანიამ შეიძინა 49%-იანი წილი შპს ცისარტყელაში, რომელიც კომპანიისთვის წარმოადგენს ინვესტიციას მეკავშირე საზოგადოებაში (იხ. შენიშვნა 9).

მისამართი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ზიზნის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ხელშეწყობის ადრეიზების, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. გარდა ფასს 16 „იჯარის“-ის, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, მიღებით გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 და 27-ე შენიშვნები). 2018 წლის 31 დეკემბრამდე იჯარაზე გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოებია, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებენ მათ, და, როგორც წესი, კომპანია მათი ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე ფლობს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიცია აღირიცხება ხელშეწყობის ადრეიზების კაპიტალ-მეთოდით და მათი საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, მეკავშირე საწარმოს მოგება/ზარალის იმ წილით, რა წილსაც ფლობს კომპანია შეძენის თარიღის შემდეგ. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობით მცირდება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში კომპანიის წილის შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები შემდეგნაირად აღიარდება: (i) კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის სახით; (ii) სხვა სრულ შემოსავალში კომპანიის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და მისი წარდგენა ცალკე ხდება; (iii) მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში კომპანიის წილის ყველა სხვა ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის ფარგლებში.

თუმცა, როდესაც მეკავშირე საწარმოს ზარალში კომპანიის წილი ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, სხვა ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩათვლით, კომპანია აღარ აღიარებს დამატებით ზარალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას წარმოექმნება მოვალეობები ან გადახდებს განახორციელებს მეკავშირე საწარმოს სახელით.

კომპანიასა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება მეკავშირე საწარმოში კომპანიის წილის ოდენობამდე; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია წარმოქმნის გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველს.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლ“).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის („სეპ“-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრულ შემოსავალის ანგარიშგებაში როგორც, წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ თარიღის გაცვლითი კურსით, რომელშიც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების ლარში გადაანგარიშება, იყო შემდეგი: ამერიკული დოლარი ('\$') 1 = ლ 2.8677 და ევრო ('€') 1 = ლ 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბრისთვის: \$1 = ლ 2.6766 და €1 = ლ 3.0701;). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და დაუმთავრებელ მშენებლობებს, რომლებიც მომავალში ძირითადი საშუალებების სახით იქნება გამოყენებული.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალრულ შეფასებში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები	20
ავტომობილები	5
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	5
საოჯარო გაუმჯობესებები	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო იჯარის ვადას შორის უმცირესი პერიოდი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

3 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანიას პარტნიორებისგან და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან იუარით იღებს შენობასა და მიწას. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, იუარისა და არა-საიუარო კომპონენტებს. კომპანია ხელშეკრულებაში საზღაურს მიაკუთვნებს საიუარო და არა-საიუარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

აქტივები, რომლებიც იუარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულებით საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიუარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიუარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იუარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიუარო გაზაფხულის გამოკლებით,
- მოიუარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიუარე გასწევს საიუარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიუარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიუარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება საერთო გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იუარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება, რომ მას ექნება შემდგომი შესყიდვის შესაძლებლობა, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურდება მოცემული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

მიწა
შენობა-ნაგებობა

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
3-დან 20-წლამდე
3-დან 10 წლამდე

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება რომელიც ემსახურება საიუარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზნებს ერთად, და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

შენობა-ნაგებობების სახით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხებით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 20 წლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე. თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა იყოს გაუფასურებული, კომპანია აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც 'საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები' (შენიშვნა 20). გამოიშვებულ საიჯარო შემოსავალი აღიარდება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც 'საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან' (შენიშვნა 8). საინვესტიციო ქონების გასვლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება, როგორც ამონაგები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აღირიცხება წლის მოგება-ზარალში.

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიდება და თუ შესაძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

იმ შემთხვევაში, თუ შესაკუთრებ დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას საკუთარ საოპერაციო საქმიანობაში, ასეთი ქონება გადადის საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

შემცირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელსაც აკონტროლებს კომპანია, აღირიცხება არამატერიალური აქტივების სახით, თუ მოსალოდნელია ნაზრდი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებსა და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად, მისი მოვლა-შენახვის ხარჯები, გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 5-10 წლის განმავლობაში.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოგონების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგნიტირებული ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გაგრძელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან მოდელი რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმდებარე ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ემპირიული ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, პნ პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე)

3 მნიშვნელოვანი საადრიგხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება.

მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("FOCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებზე აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ ("FVTPL"), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ ("FVOCI") და ამორტიზებული ღირებულებით ("AC"). საგალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ("FVTPL").

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI").

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გაგონება აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საჭარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესაძარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ("ECL"). კომპანია პერსპექტიულად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალა ინსტრუმენტებისთვის.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი ოდენობა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) გონივრული და ღირებული ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალა ინსტრუმენტები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით, წმინდა.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

კომპანია ვადიანი დეპოზიტების და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურების შეფასებისთვის საერთო სამ ეტაპიან მოდელს იყენებს, რომელიც დამყარებულია თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებაზე. ვადიანი დეპოზიტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ვადიანი დეპოზიტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება თანხით, რომელიც წარმოადგენს ამ ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საკრედიტო შემთხვევის დადგომისას შემდეგი 12 თვის განმავლობაში, ან ამ ინსტრუმენტის კონტრაქტული ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა ("12 თვიანი საკრედიტო ზარალი"). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გამოვლინდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR"), აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ეს მოქმედია სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე მაგრამ ითვალისწინებს მოსალოდნელ გადახდილ აგანსებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში („მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). იხილეთ შენიშვნა 2, სადაც აღწერილია, თუ განსაზღვრავს SICR-ის არსებობას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, აქტივი გადადის მესამე ეტაპზე და მისი ECL-ი ფასდება როგორც მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიის აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის განმარტებები ახსნილია 22-ე შენიშვნაში. 22-ე შენიშვნა გვაწვდის ინფორმაციას შენატანების, დასკვნებისა და შეფასების ტექნიკის შესახებ, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად და ასევე განმარტავს, თუ როგორ იყენებს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (ი) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (იი) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, ამ შესაძლებლობის გამოყენება შეუძლია ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც "შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით" ("AC"), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"); ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შეძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up“) მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთ გადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიპოში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ბირთადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურირების კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გაგონა არა აქვს მხოლოდ ბირთადი და პროცენტის თანხების გადახდაზე. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცემაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვადიანი დეპოზიტები. ვადიანი დეპოზიტები ის დეპოზიტებია, რომელიც ინახება ბანკებში და რომლის თავდაპირველი დაფარვის ვადაც სამ თვეზე მეტია.

ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან კლასიფიცირდება როგორც ფინანსური შემოსავალი „საპროცენტო შემოსავალი ვადიან დეპოზიტებზე“ და წარდგენილია, როგორც „ფინანსური შემოსავალი“ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფინანსური შემოსავალი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარდგენილია საინვესტიციო საქმიანობის ნაწილში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით.

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, და

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეეყვანილია მთელ რიგ საკუთრების ოჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ კომპანიას და არა შესაბამის მიიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც კომპანიის ოჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს,
- იყენებს მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტორებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოკლევადიანი იუგარები წარმოადგენს იუგარებს, რომლის ვადაც 12 თვე ან ნაკლებია. დახალღირებულებიანი აქტივები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობას და საოფისე ავეჯის მცირე ზომის მუხლებს 10 ათასი ლარის ან ნაკლები ოდენობის ღირებულებით.

მოგების გადასახადი, მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აგროსილზე' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საქიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იხეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასახეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იხეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში (შენიშვნა 20).

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახადელი დღგ ამოღებადია ჩასათვლედი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახადელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთაც 20% ან მეტი აქვთ დღგ-ის გან გათავისუფლებული ზრუნვა.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადახდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში მეთოდის გამოყენებით. მარაგის თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, იმპორტის გადასახადებისგან, სხვა არა აღდგენადი გადასახადებისგან, ტრანსპორტირებისა და გადატვირთვის ღირებულებისგან და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისგან, შემცირებული ფასდაკლებებით და მსგავსი კომპონენტებით, რომელიც გაიწევა მარაგების მიმდინარე კონდიციამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით. მარაგები რომლებიც გამოიყენება მშენებლობისთვის კლასიფიცირდება როგორც სამშენებლო მასალები და აისახება კომპანიის გრძელვადიან აქტივებში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიანება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებებში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 26).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხვები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხვები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხვების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხვების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარგულირების საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მაგალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მაგალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი აგანსების სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დახრუნების და დღგ-ს გარეშე.

საქონლის რეალიზაცია. კომპანია ახორციელებს სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალების იმპორტს და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას (შენიშვნა 1). რეალიზაცია ხორციელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე და აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, დაბეგვებისა და დაკარგვის რისკი გადაეცემა მომხმარებელს და/ან მომხმარებელი მიიღებს პროდუქციას ხელშეკრულების მიხედვით, ან მიღების ვადა ამოიწურება, ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებული იყო.

კომპანია არ ახდენს რეალიზაციას მოცულობითი ფასდათმობებით. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება ხელშეკრულებაში მოცემული თანხის მიხედვით.

კომპანიის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ან საავანსო გადახდის ან პროდუქციაზე კონტროლის გადაცემის მომენტში ანგარიშსწორების პირობით. იშვიათ შემთხვევებში, ანგარიშსწორება შეიძლება გადავადდეს, თუმცა გადავადება არასოდეს სცილდება 12 თვეს, შესაბამისად, დაფინანსების კომპონენტი არ ითვლება არსებითად და გარიგების გასი არ არის დაკორექტირებული მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნა აღიარდება მაშინ, როდესაც პროდუქცია მიწოდებულია და ეს დროის ის მომენტია, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, და მხოლოდ დროის გასვლა საჭირო გადახდის მომენტის დადგომამდე.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების არსებობას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის მომხმარებლისადმი გადაცემის მომენტიდან პროდუქციის

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულების ანაზღაურებამდე აღენატება ერთ წელს. შესაბამისად, არ ახდენს გარიგების ფასის კორექტირებას დროში ფულის ღირებულების გასათვალისწინებლად.

დამატებითი დანახარჯები. კომპანია მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება. ხელშეკრულების გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენენ ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა ხელშეკრულების გაფორმება.

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების დაფარვა სრულად ხდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა ხელშეკრულება. კომპანიის ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი ხარჯები შემოიფარგლება რეალიზაციის საკომისიოთი, რომლებიც უმეტესწილად ეხება მოკლევადიან (1 წელზე ნაკლები პერიოდის) ან ერთჯერად ხელშეკრულებებს. კომპანია იყენებს პრაქტიკულ ხერხს და რეალიზაციის საკომისიოს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღრიცხავს როგორც 'რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯების' (შენიშვნა 19) მათი წარმოშობისას.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ყველა სავალს ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანიას უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, ასეთ ხელშეკრულებებს საწარმო წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, როდესაც გადახდა განხორციელებდა, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ ორი მოვლენიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განხორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობას. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, „იუარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება გადაწყვიტა მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. ქონების იუარით გადაცემისთვის აქტივის გამოყენების უფლება ფასდება გადაცემისას, ისე, თითქოს ახალი წესი ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა აქტივის გამოყენების უფლება ფასდება იუარის ვალდებულების თანხით სტანდარტის მიღებისას (დაკორექტირებულია ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის პირველად გამოყენებაში, კომპანიამ გამოიყენა სტანდარტით დაშვებული შემდეგი გამარტივებული მიდგომები:

- მსგავსი მახასიათებლების მქონე საიუარო პორტფელთან მიმართებით ერთი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იუარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იუარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

შპს დედასი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

კომპანიამ აირჩია არ გადაეფასებინა ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა, ან მოიცავს თუ არა იჯარას, თავდაპირველის მიღების თარიღისთვის. ამის ნაცვლად, იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც გაფორმდა გადასვლის თარიღამდე, კომპანია ეყრდნობოდა მის მიერ განხორციელებულ შეფასებას, რომელიც გაკეთა ასს 17-ის „იჯარა“, და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭო (IFRIC) 4 „იმის განსაზღვრება, შეთანხმება მოიცავს თუ არა იჯარას“ მიღებისას.

კომპანიის საიჯარო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთად განისაზღვრა 10.9%, რომელიც წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს.

31 დეკემბერი 2018 /
1 იანვარი 2019

ათასი ლარი

სულ სამომავლო მინიმალური იჯარის გადახდები შეუქცევადი* საოპერაციო იჯარებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 704

- მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირების ეფექტი (224)

სულ საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 480

რომელთაგან შემდეგი არიან:

მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები 90

გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები 390

* შეუქცევადი იჯარა მოიცავს ისეთ იჯარებს, რომლების შეწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ: (ა) გარკვეული შორეული გაუთვალისწინებელი ვითარების დადგომისთანავე, (ბ) მიიღიაროს ნებაართვით, (გ) თუ მოთხოვნი იქნება ან ევკვივალენტი აქტივის სხვა იჯარას გააფორმებს ან (დ) მოიღიაროს მიერ ისეთი დამატებითი თანხის გადახდისას, რომელიც, იჯარის დაწყების დროს, მისი გაგრძელება გონივრულად გარკვეულია.

ცვლილებამ სააღრიცხვო პოლიტიკაში გავლენა იქონია 2019 წლის 1 იანვარს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემდეგ მუხლებზე:

ათასი ლარი

ფასს 16-ის გავლენა

აქტივის გამოყენების უფლების ზრდა 480
შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში 480

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან)
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ასს 28 „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ზასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ზასს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ზასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შეიღობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, მაშინვე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარეა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელოს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება - ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაზალი დანახარჯების ან

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამ სამომავლო ცვლილებებს კომპანია გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ზუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესულია იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორის განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიკური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმის შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ასს 39 -ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს “მაღალი ალბათობით მოსალოდნელი”. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროცენტო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანზრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელიც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამოწვევის რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაემაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შედავით გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამიზნული იყო ამ

6 საზღვალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას, შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებითი, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართვას ის გადასვლის პროცესს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მათთვისაა კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ასს 16, ასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 2, ფასს 16 და ასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოკეთებას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივის შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი. ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამოწვევის დამატება ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამოწვევის მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმო, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ასს 37 ან ფასს 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამოწვევის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ასს 37-ით.

6 საზოგადოებრივი აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზნით საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუმჯობესების აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა სამედიცინო უფლებას შეიღობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შეიღობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შეიღობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შედეგით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკუთრივ სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შედეგის დაგროვილ საკუთრივ სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შედეგით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დახეგრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დახეგრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა შედეგითი სარგებლობის საშუალება რომელიც გამოხატულია არასავალდებულო განთავსულების ფორმით და აფასებს წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის კონცესიას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს ქირავნობის კონცესიის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ხეგრ შემთხვევაში, ეს აისახება კონცესიის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ ქირავნობის კონცესიებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისის ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის სხვა ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. თუ მოიჯარე არჩევს იჯარისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას, მას მოუწევდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თანმიმდევრულად იმ ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე გამოყენება, რომელსაც გააჩნია მსგავსი მახასიათებლები და მსგავსი გარემოებები. შესწორება უნდა იქნეს გამოყენებული რეტროსპექტიულად ასს 8-სთან შესაბამისობაში, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდების ციფრების გადაანგარიშება ან ასს 8-ს 28(მ) ქვეპუნქტის მიხედვით გამჟღავნების უზრუნველყოფა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შპს დემასი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

6 სახელმძღვანელო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	10,622	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,325	3,065	-	-
საიჯარო ვალდებულებები	390	-	-	-

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო	მთავარი აქციონერები	მეკავშირე საწარმო
საპროცენტო ხარჯი	(46)	-	-	-
მეკავშირე საწარმოს პერიოდის ზარალი	-	(262)	-	-
საიჯარო ხარჯი	-	-	(135)	-

კომპანიას პარტნიორებისგან და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან საოპერაციო იჯარით აღებული აქვს გაღებულ დემასის შენობა შესაბამისი მიწის ნაკვეთით და 20 წლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ორი მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სავაჭრო ცენტრი იდეალი და კომპანიის სასაწყობო მეურნეობა.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურება. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან: მალხაზ საბაძე და დევიანოზ ინასარიძე, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ კომპანიის პარტნიორებს (შენიშვნა 1).

2019 წლის განმავლობაში, მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ შეადგინა 340 ათასი ლარი (2018: 340 ათასი ლარი).

შპს დეშსი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

8 ბირთვადი საშუალებები და საინვესტიციო კონტა

ბირთვად საშუალებებისა და საინვესტიციო კონტა საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი:

ათარი ლარი	მიწა და შენიშნა- ნაკლებები	ფინანსური და საინვესტიციო კონტა	საინვესტიციო კონტა	საინვესტიციო კონტა	საინვესტიციო კონტა	საინვესტიციო კონტა
ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	13,283 (1,443)	1,307 (1,203)	562 (486)	177 (166)	982 (670)	19,209 (3,968)
დაგროვილი ცვლილება	11,840	104	76	11	312	15,241
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს						4,689
დამატებები	3,685	270	20	318	175	6,872
ტრანსფერები	3,078	-	-	19	-	-
გასვლები	(30)	-	-	-	(66)	(96)
ცვლილების ხარჯი	(416)	(112)	(41)	(59)	(107)	(735)
გასვლისას ლიკვიდირებული	-	-	-	-	66	66
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	18,157	262	55	289	380	21,348
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს						4,356
ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბერს	20,017 (1,860)	1,577 (1,315)	582 (527)	514 (225)	1,091 (711)	25,986 (4,638)
დაგროვილი ცვლილება						
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	18,157	262	55	289	380	21,348
დამატებები	4,605	36	164	65	144	7,269
ტრანსფერები მარაგებიდან/საშენებლო მასალებიდან	212	-	-	35	111	1,913
გასვლები	-	-	(21)	-	(111)	(132)
ცვლილების ხარჯი	(568)	(89)	(28)	(88)	(107)	(880)
გასვლისას ლიკვიდირებული	-	-	21	-	111	132
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	22,406	209	191	301	528	29,650
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს						4,024
ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბერს	24,833 (2,427)	1,613 (1,404)	725 (534)	614 (313)	1,235 (707)	35,085 (5,385)
დაგროვილი ცვლილება						
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	22,406	209	191	301	528	29,650
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს						4,024

(*) დაუბრუნებული ინვესტიციების განმარტება მოყვრულია შესაბამის სადირექტო პოლიტიკაში (შენიშვნა 3).

8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს ქალაქ ბათუმში მიმდინარე სავაჭრო ცენტრის მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ დაუმთავრებელ მოწყობილობებს. სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2020 წელში, რის შედეგადაც დაუმთავრებელი მშენებლობა გადავა შენობა-ნაგებობების კატეგორიაში (შენიშვნა 26).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება მოიცავს ოთხ კომერციულ ფართს მთლიანი ფართობით 829 კვადრატული მეტრი, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე - პეკინის გამზირი, თბილისი, საქართველო. მისი რეალური ღირებულება 6,906 ათასი ლარია (31 დეკემბერი 2018: 6,906 ათასი ლარი). კომერციული ფართები ქირავდება სხვადასხვა მოიჯარეებზე 1-დან 5 წლამდე საიჯარო პერიოდით. რეალური ღირებულების შეფასების დეტალები მოცემულია 25-ე განმარტებით შენიშვნაში. საინვესტიციო ქონების გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც 'საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი', რომელმაც 2019 წელს შეადგინა 778 ათასი ლარი (2018: 722 ათასი ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გაფორმებული ქონდა გენერალური ხელშეკრულება სს პრო კრედიტ ბანკთან, რომლის მიხედვითაც, კომპანიას შეუძლია საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობა 800 ათასი აშშ დოლარის ლიმიტის ფარგლებში. სანაცვლოდ, კომპანიას ბანკის სასარგებლოდ უზრუნველყოფაში აქვს ჩადებული ორი მიწის ნაკვეთი ღირებულებით 1,440 ათასი ლარი.

9 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2019 წლის 1 ოქტომბერს კომპანიამ შპს ცისარტყელაში შეიძინა 49%-იანი წილი. შპს ცისარტყელას საქმიანობას წარმოადგენს სასატელეტო მშენებლობა და ოპერირება. კომპანიის მეკავშირე საწარმოს აქციები არ ივაჭრება საჯაროდ. მოძრაობა მეკავშირე საწარმოებში:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით		
წილის შეძენა მეკავშირე საწარმოში	5,925	-
კაპიტალის ზრდა მეკავშირე საწარმოში	4,959	-
მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი	(262)	-
მიმდინარე ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,622	

10 მარაგები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სარეალიზაციო პროდუქცია	17,139	16,269
საქონელი გზაში	2,091	1,238
სხვა მარაგები	196	57
მარაგები, სულ	19,426	17,564

2019 წლის განმავლობაში რეალიზებული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 32,099 ათასი ლარი (2018 წელს: 34,976 ათასი ლარი). მარაგები ღირებულებით 19,230 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 17,507 ათასი ლარი;) შეფასებულია წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით.

შპს დემასი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

11 გადახდილი ავანსები

გადახდილ ავანსებში მოძრაობა:

ათასი ლარი	ავანსები მარაგებისთვის	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	სხვა ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	827	470	23	1,320
დამატებები	24,749	683	652	26,084
შესაბამისი საქონელის ან სერვისის მიღების შედეგად შეწყვეტილი ავანსები	(24,652)	(968)	(661)	(26,281)
გაუფასურების ანარიცხი	(401)	-	-	(401)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	523	185	14	722
დამატებები	24,116	2,378	528	27,022
შესაბამისი საქონელის ან სერვისის მიღების შედეგად შეწყვეტილი ავანსები	(24,258)	(1,420)	(478)	(26,156)
ავანსები 2019 წლის 31 დეკემბერს, სულ	381	1,143	64	1,588

12 ვადიანი დეპოზიტები

ანგარიშების თარიღისათვის ვადიანი დეპოზიტები შეჯამებულია ქვემოთ:

ათასი ლარი	სახელმწიფო- ლენო ოდენობა ('000)	პირველ- დი ვალუტა	შეთანხმების თარიღი	ვადის ამოწურვ-ის თარიღი	ეფექტური საპროცენ- ტო განაკვეთი წილზე	2019 წლის 31 დეკემ- ბერი	2018 წლის 31 დეკემ- ბერი
სს ქართუ ბანკი	7,000	USD	09/17/2019	09/06/2021	6.00%	20,420	-
სს ქართუ ბანკი	3,500	USD	05/31/2018	05/20/2020	6.00%	10,993	9,698
სს ქართუ ბანკი	3,500	USD	10/23/2019	10/12/2021	6.00%	10,150	-
სს ქართუ ბანკი	3,000	USD	11/14/2019	11/03/2021	5.75%	8,668	-
სს ქართუ ბანკი	1,000	USD	07/17/2018	07/06/2020	6.00%	3,118	2,750
სს ქართუ ბანკი	6,000	USD	09/25/2017	09/15/2019	6.00%	-	17,279
სს ქართუ ბანკი	3,000	USD	11/02/2017	10/23/2019	6.25%	-	8,613
სს ქართუ ბანკი	2,500	USD	11/24/2017	11/14/2019	6.25%	-	7,152
ვადიანი დეპოზიტები, სულ						53,349	45,492

ხელმძღვანელობა თავისუფალ ფულად სახრებს აბანდებს საქართველოში არსებული ბანკების გრძელვადიან დეპოზიტებში. დეპოზიტორების საკრედიტო რეიტინგი მოცემულია მე-13 განმარტებით შენიშვნებში. კომპანიის არცერთი გრძელვადიანი დეპოზიტი არ იყო გადაგადაცილებული შემდეგი 31 დეკემბერი 2019 და 31 დეკემბერი 2018-ისთვის.

ვადიან დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები აღირიცხება როგორც ფინანსური შემოსავალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელმაც 2019 წლისთვის შეადგინა 2,953 ათასი ლარი (2018: 2,444 ათასი ლარი).

შპს დემასი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

13 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	41	40
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,070	3,287
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სულ	2,111	3,327

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შესაძლებელია შეეჯამდეს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის Fitch Ratings-ის მიერ განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგების შესაბამისად, შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	
	მოთხოვნამდე საბანკო ანგარიშები	ვადიანი დეპოზიტები	მოთხოვნამდე საბანკო ანგარიშები	ვადიანი დეპოზიტები
- BB+ რეიტინგით	1,927	-	3,089	-
- BB რეიტინგით	11	-	10	-
- BB- რეიტინგით	131	-	188	-
- B+ რეიტინგით	-	-	-	-
- B რეიტინგით	1	53,349	-	45,492
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები და ვადიანი დეპოზიტები	2,070	53,349	3,287	45,492

14 ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები:

	სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები ფინანსური აქტივობიდან 31 დეკემბერი 2018 მდგომარეობით	-	-	-
ახალი სტანდარტის მიღება	-	480	480
ვალდებულებები ფინანსური აქტივობიდან 31 დეკემბერი 2018 მდგომარეობით	-	480	480
ფულადი ნაკადები, გარდა გადახდილი პროცენტისა	(72)	(90)	(162)
დარიცხული პროცენტი	29	46	75
გადახდილი პროცენტი	(29)	(46)	(75)
გადაფასება უცხოურ ვალუტაში	72	-	72
ვალდებულებები ფინანსური აქტივობიდან 31 დეკემბერი 2019 მდგომარეობით	-	390	390

შპს დემასი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

15 საგაქრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს შესყიდვისთვის	5,325	-
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს მიმართ	3,065	-
საგაქრო ვალდებულება	130	200
სულ ფინანსური ვალდებულებები საგაქრო და სხვა ვალდებულებაში	8,520	200
თანამშრომელთა დარიცხული ხელფასი	133	132
საგადასახადო ვალდებულებები	224	676
სხვა	2	13
სულ საგაქრო და სხვა ვალდებულება	8,879	1,021

3,065 ათასი ლარის (2018 წლის 31 დეკემბერი: ნული ლარი) ღირებულების საგაქრო და სხვა ვალდებულებები გამოსახულია აშშ დოლარში.

16 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 2 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სრულად იყო შეტანილი ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

2019 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 1,543 ათასი ლარი (2018 წელი: 7,365 ათასი). ყველა დივიდენდი გამოცხადდა და გადახდილ იქნა ლარში.

17 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები

კომპანიას ახდენს პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში:

ათასი ლარი	2019	2018
პროდუქციის რეალიზაცია	56,605	60,346
სულ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები	56,605	60,346

შპს დემასი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

18 გაყიდვული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2019	2018
გაყიდვული პროდუქციის თვითღირებულება	32,099	34,976
მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე დაყვანის შედეგი	-	19
სულ გაყიდვული საქონლის თვითღირებულება	32,099	34,995

19 რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები

ათასი ლარი	2019	2018
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	2,867	2,694
რეალიზაციის საკომისიო	908	641
ძირითადი საშუალებების ცვეთა	880	735
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯი	412	260
კომუნალური ხარჯი	252	237
ბანკის და სხვა საკომისიოები	217	219
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	106	-
საოპერაციო საოჯარო ხარჯი ძირითადი საშუალებებისთვის	-	135
სხვა	430	538
სულ რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები	6,072	5,459

20 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი	2019	2018
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	1,973	1,725
საინვესტიციო ქონების ცვეთა	332	333
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	312	322
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	221	172
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურება	157	102
რემონტისა და შეკეთების ხარჯები	97	4
ტელე საკომუნიკაციო ხარჯები	61	58
გადახდილი ავანსების გაუფასურება	-	401
სხვა	285	332
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	3,438	3,449

21 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ანარიცხი შექმნილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა წაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

22 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამოიწვევს იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას (შენიშვნა 12), პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაგენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ვადიანი დეპოზიტები (შენიშვნა 12)	53,349	45,492
საგაქრო მოთხოვნები	296	333
მოთხოვნამდე საბანკო ანგარიშები (შენიშვნა 13)	2,070	3,287
საბალანსო უწყისზე არსებული მოცულობა, სულ	55,715	49,112
საკრედიტო რისკების მაქსიმალური მოცულობა, სულ	55,715	49,112

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მისაღები რისკის ოდენობაზე ზღვრების დაწესებით ერთ კონტრაგენტთან, ან კონტრაგენტების ჯგუფთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება პროდუქტისა და დარგის მიხედვით ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების მონიტორინგი ხორციელდება მუდმივ რეჟიმში და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის მონიტორინგის განსახორციელებლად, იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნესსა და ფინანსურ წარმადობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტ უნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების წარმადობას და თავალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

საკრედიტო რისკის ქულების მინიჭების სისტემა. საკრედიტო რისკის შესაფასებლად და საკრედიტო რისკის დონის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ქულების მისანიჭებლად კომპანია იყენებს გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს Fitch Rating-ის მიერ შეფასებულ რისკის ქულებს. ეს რეიტინგები საჯაროა. მსგავსი რეიტინგები და შესაბამისი დეფოლტის ალბათობის ინტერვალი ("PD"), გამოიყენება ვადიანი დეპოზიტებისათვის და ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი ("EAD") არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. როგორც წესი, ის გამოისახება, როგორც EAD-ის პროცენტი.

PD შეფასების მიზნებისთვის, კომპანია საზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს შეესაბამება:

- კონტრაგენტმა 90 დღეზე მეტი გადაადილა გადახდის სახელშეკრულებო ვადებს;
- საერთაშორისო რეიტინგების სააგენტოებმა კონტრაგენტი შეიყვანეს დეფოლტის რეიტინგის კლასიფიკაციაში.

იმის შეფასება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ("SICR"), ხორციელდება ინდივიდუალურად. ვადიანი დეპოზიტებისათვის, SICR-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მონიტორინგის გამოყენებით. SICR-ის გამოვლენისთვის გამოყენებული კრიტერიუმების მონიტორინგი და მათი სათანადოობა პერიოდულად გადაისინჯება კომპანიის ხელმძღვანელების მიერ. უარყოფადი ვარაუდი, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, თუ ფინანსური აქტივზე მისაღები თანხები 30 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული, არ უარყოფილა.

კომპანია მიიჩნევს, ვადიანი დეპოზიტები განიცდის SICR-ს, როდესაც ქვემოთ მოცემული ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი ან რამოდენიმე დაკმაყოფილდება:

- 30 დღით ვადა გადაცილება;
- გარე რეიტინგის შემცირება 3-ზე მეტი ნიშნულით;
- კომპანიისთვის ხელმისაწვდომი სხვა ხარისხობრივი ინდიკატორი.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ECL-ის დონე დამოკიდებულია იმაზე, მსესხებლის საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს ECL-ის შეფასების სამ-ეტაპიანი მოდელია. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის კრედიტი გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას და მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ იზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქვს 12-თვიანი ECL-ზე დაფუძნებული საკრედიტო რისკის ანარიცხი (1-ლი ეტაპი). კომპანიის ვადიანი დეპოზიტები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლების საკრედიტო რეიტინგები მოცემულია შენიშვნა 13-ში. კომპანიის ვადიანი დეპოზიტებისათვის არ გამოვლენილა SICR-ი და შესაბამისად, საკრედიტო ზარალის ანარიცხები შეფასდება 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეშვეობით.

თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოვლინდა SICR-ის ზრდა, ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-2 ეტაპზე, მაგრამ ის გაუფასურებული კრედიტის მქონედ არ მიიჩნევა და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში ECL-ს. ფინანსური ინსტრუმენტის კრედიტის გაუფასურების შემთხვევაში ეს ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-3 ეტაპზე და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში ECL-ს. აქტივის მე-3 ეტაპზე არსებობის შედეგია ის, რომ საწარმო წყვეტს მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე საპროცენტო შემოსავლის აღიარებას და საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, ECL-ის გარეშე.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR-ის კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ინსტრუმენტს ისევ 1-ელ ეტაპზე აბრუნებენ. თუ რისკი მე-2 ეტაპზე გადაიტანება ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, კომპანია ახორციელებს მონიტორინგს, ეს ინდიკატორი ისევ არსებობს თუ შეიცვალა.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ECL შესაფასებლად კომპანიის მიდგომა ეფუძნება გარე რეიტინგებს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების წამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გამოთვლებში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობა.

გარე რეიტინგის საფუძველზე შეფასების პრინციპები. გარკვეული საკრედიტო რისკის გარე შეფასება არსებობს, რასაც იყენებენ საკრედიტო რისკის პარამეტრების, PD-სა და LGD-ს შესაფასებლად, ისევე როგორც სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას ამოღების შესახებ. ეს მიდგომა გამოიყენება ვადიანი დეპოზიტებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ორივე, SICR-ის შეფასება და ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის მთავარი ეკონომიკური ცვლადი, რომელიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან, აქედან გამომდინარე, გავლენას ახდენს ბანკების ვალდებულებების შესრულებაზე. დამატებით, მსესხებლის პერსპექტიული ინფორმაციის ჩართვისათვის კომპანია თვალყურს ადევნებს მსესხებლის საკრედიტო რეიტინგს, რომელიც გამოქვეყნებულია გარე სარეიტინგო სააგენტოების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის რეიტინგი უარყოფითი/საყურადღებოა კომპანიამ შესაძლებელია დააკორექტიროს მიმდინარე რეიტინგი პერსპექტივის დასაბუთებაზე, სხვა რელევანტური ინფორმაციაზე და ექსპერტების განსჯაზე დაყრდნობით.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს თავის მეთოდოლოგიასა და დაშვებებს, რათა შეამციროს განსხვავება შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ეს შემოწმება წელიწადში ერთხელ ტარდება.

ECL-ის შეფასების მეთოდოლოგიის შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ხელმძღვანელობას და მოდელისა და დაშვებების დახვეწის ღონისძიებები განისაზღვრება უფლებამოსილი პირების მიერ განხილვის შემდეგ.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები ნაკლებად დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნებთან, რადგან ბიზნესი მოწყობილია იმგვარად, რომ თავს არიდებს კრედიტით გაყიდვებს. უმეტეს შემთხვევაში წინასწარ ხდება ანგარიშსწორება და დებიტორული დავალიანების ანგარიშის ბალანსი შენარჩუნებულია დაბალ მაჩვენებელზე.

კომპანიის კონცენტრაციის რისკი დაკავშირებულია ვადიან დეპოზიტებთან 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის დეპოზიტები განთავსებულია ერთ ბანკში, სს ქართუ ბანკში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 ბანკში). რისკი იმართება იმით, რომ ვადიანი დეპოზიტები განთავსებულია ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთაც სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი აქვთ საკრედიტო რეიტინგების შემფასებელი დამოუკიდებელი ორგანიზაციის (Fitch) მიხედვით (მე-13 შენიშვნა). მოვალეობის გადასხმად უნარიანობა რეგულარულად გადის მონიტორინგს ხელმძღვანელობას მხრიდან, რათა გამოვლენილ იყოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებების ადრეულ საფეხურზე.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის

ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2019 წლის 31 დეკემბერი			2018 წლის 31 დეკემბერი		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ათასი ლარი						
აშშ დოლარი	55,174	3,148	52,026	47,548	141	47,407
ევრო	-	2	(2)	808	4	804
ლარი	580	5,761	(5,181)	412	71	341
რუბლი	-	-	-	24	-	24
სულ	55,754	8,911	46,843	48,792	216	48,576

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გამყარება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გამყარება 20%-ით)	(10,405)	(9,481)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გაუფასურება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გაუფასურება 20%-ით)	10,405	9,481
ევროს გამყარება 20% (31 დეკემბერი 2019: გამყარება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გამყარება 20%-ით)	—	(161)
ევროს გაუფასურება 20% (31 დეკემბერი 2019: გაუფასურება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გაუფასურება 20%-ით)	—	161
რუსული რუბლის გამყარება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გამყარება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გამყარება 20%-ით)	—	(5)
რუსული რუბლის გაუფასურება 20%-ით (31 დეკემბერი 2019: გაუფასურება 20%-ით; 31 დეკემბერი 2018: გაუფასურება 20%-ით)	—	5

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

კომპანია მნიშვნელოვნად ექვემდებარება სავალუტო, განსაკუთრებით აშშ დოლარის რისკს. სავალუტო რისკი წარმოიქმნება სამომავლო გარიგებებისა და აღიარებული აქტივებისგან (ბირთადად ვადიანი დეპოზიტები) და ვალუტით (რომელიც არ არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა) გამოსახული ვალდებულებებისგან. სავალუტო რისკი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რადგან ზოგადად ყველა მარაგის შეძენა ხორციელდება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც უცხოურ ვალუტაში ახდენენ ანგარიშსწორებას. უცხოური ვალუტით გამოსახული ფინანსური აქტივების მაჩვენებლები ყალიბდება კომპანიის მოლოდინებისგან სამომავლო მარაგების შესყიდვებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები.

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო ცვლილების ან დაფარვის ვადების მიხედვით:

22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტ	ჯამი
31 დეკემბერი 2019					
სულ ფინანსური აქტივები	2,366	-	14,111	39,238	55,715
სულ ფინანსური ვალდებულებები	(8,520)	-	-	-	(8,520)
წმინდა საპროცენტო სემიტიურობის სხვაობა 2019 წლის 31 დეკემბერს	(6,154)	-	14,111	39,238	47,195
31 დეკემბერი 2018					
სულ ფინანსური აქტივები	3,661	-	33,044	12,448	49,153
სულ ფინანსური ვალდებულებები	(200)	-	-	-	(200)
წმინდა საპროცენტო სემიტიურობის სხვაობა 2018 წლის 31 დეკემბერს	3,461	-	33,044	12,448	48,953

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან არც ფინანსურ აქტივებს და არც ფინანსურ ვალდებულებებს არ გააჩნიათ ცვლადი საპროცენტო განაკვეთები და ეს რისკი უმნიშვნელოააა მიჩნეული. ვადიან დეპოზიტებზე არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია შენიშვნა 13-ში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს საგაყრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

კომპანია ფონდების ინვესტირებას ახორციელებს ვადიან დეპოზიტებში დივერსიფიცირებულს ვადიანობით, რათა შეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მის ექვივალენტებს (შენიშვნა 13) და ვადიან საბანკო დეპოზიტებს (შენიშვნა 12). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს და საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებული იქნეს ფულად სახსრებად ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მოკლევადიანი ხასიათისაა და ექვემდებარება გადახდას 1 თვემდე ვადაში შეადგენს 8,655 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერს: 345 ათას ლარს).

23 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი

23 კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის გარე სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნები.

24 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაუგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია. რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი				2018 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
ფული და ფულის ექვივალენტები	-	2,111	-	2,111	-	3,327	-	3,327
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	-	-	296	296	-	-	333	333
ვადიანი დეპოზიტები	-	53,349	-	53,349	-	45,492	-	45,492
არა ფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება	-	-	6,906	6,906	-	-	6,906	4,357
თ	-	55,460	7,202	62,662	-	48,819	7,239	53,509
სულ აქტივები	-	55,460	7,202	62,662	-	48,819	7,239	53,509
ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	-	-	8,520	8,520	-	-	200	200
სულ ვალდებულებები	-	-	8,520	8,520	-	-	200	200

24 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრა საინვესტიციო ქონებისთვის. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შეფასებელი კომპანიის მიერ, რომელიც ფლობს აღიარებულ და შესაბამის პროფესიულ ხარისხს, რომელსაც აქვს აქტივების შეფასების უახლოესი გამოცდილება მსგავს ტერიტორიასა და კატეგორიაში. შედარების პროცესში, მათ გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (დარეგისტრირებული გაყიდვა ან შეთავაზება გაყიდვაზე), რომელშიც ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობებით. აქტივების რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო და შემოსავლების მეთოდის კომბინაციით. გამომდინარე საინვესტიციო ქონების ბუნებიდან შემოსავლების მეთოდს მიენიჭა უფრო მაღალი წონა. რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით გამოყენებული შეფასების ტექნიკა და ინფორმაცია იყო შემდეგი სახის:

ათასი ლარი	შეფასების ტექნიკა	არაემპირიული მონაცემები	მონაცემების სპექტრი (საშუალო შეწონილი)	
			2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საინვესტიციო საკუთრება	შემოსავლების მეთოდი /საბაზრო მეთოდი	იჯარის საფასური 1 კვადრატულ მეტრზე	0.096 - 0.102 (0.096)	0.096 - 0.102 (0.096)
		ფასი 1 კვადრატულ მეტრზე	8 - 9 (8.8)	8 - 9 (8.8)
		აუთვისებელი ფართის განაკვეთი %	10%	10%
		კაპიტალიზაციის %	10%	10%

რეალური ღირებულებები შეფასდა იერარქიის მეორე და მესამე დონეებით დისკონტირებული ფულადი ნაკადების საშემფასებლო ტექნიკის გამოყენებით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომელიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე შეფასდა საბალანსო ღირებულების თანაბრად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, რომელშიც გამოყენებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, ახალი ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით. საინვესტიციო საკუთრების რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო და საშემოსავლო მიდგომების გაერთიანების გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

25 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (ბ) საგალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (ც) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (ე) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება საგალოდებულია FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის თავდაპირველ სამართლიან, შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით კატეგორიაში.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება მიეკუთვნება ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიას.

26 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხები. კომპანიამ 2020 წლის მარტში საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად სს პროკრედიტ ბანკისგან საკრედიტო ხაზის ფარგლებში აიღო სესხი 2,700 ათასი ლარის ოდენობით. სესხის მთლიანი თანხა დაბრუნებული იყო 2020 წლის მაისში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ განახორციელა ფულადი სახსრების შეტანა შპს ცისარტყელაში. ჯამურმა თანხამ შეადგინა 260 ათასი ლარი.

ძირითადი საშუალებები. 2020 წლის მაისის ბოლოს, კომპანიამ დაასრულა და გახსნა იდეალის სავაჭრო ცენტრი ქალაქ ბათუმში.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წლის დასაწყისში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესში მოცემულ შემთხვევას არ ქონია რაიმე არსებითი გავლენა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

27 სააღრიცხვო პოლიტიკა იჯარებისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ შესადარის პერიოდზე და ჩასწორდა ფასს 16, იჯარით შემდეგნაირად.

საოპერატიო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარე და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარე ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.



დემასი
DEMASI

შპს დემასი

მმართველობითი ანგარიში – საქმიანობის მიმოხილვა 2019

1. კომპანია, მისი განვითარება, საქმიანობის შედეგები და სამომავლო გეგმები:

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დემასი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2000 წლის 3 მარტს, საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. კომპანია იურიდიულ პირად დარეგისტრირებულია გლდანის-ნაძალადევის სასამართლოს, სარეგისტრაციო ნომერით: 200066221.

კომპანიას ფლობს ორი ფიზიკური პირი: ბატონი მალხაზ საბაძე (50%) და ბატონი დევიანოზ ინასარიძე (50%), რომლებიც იმავდროულად ახორციელებენ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ფუნქციებს კომპანიაში და სრულად არიან ჩართული მის ყოველდღიურ საოპერაციო თუ საინვესტიციო საქმიანობაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

კომპანიის დაარსების მიზანი იყო სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალებით ვაჭრობა, რასაც ის უკვე 19 წელზე მეტია წარმატებით ახორციელებს. შპს დემასი არის სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალების ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი საქართველოში. კომპანიის სარეალიზაციო პროდუქცია იმპორტირებულია წამყვანი ევროპული და აზიური მწარმოებლებისგან და მოიცავს: ხის იატაკებს, კედლის და იატაკის კერამიკულ ფილებს, შემრეც ონკანებს, აბაზანის მოპირკეთებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქსესუარებს და სხვა. კომპანია ბაზარზე ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს.

კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს თბილისში მდებარე ორი სავაჭრო ცენტრის მეშვეობით: „გალერეა დემასი“, მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე და „სვაჭრო ცენტრი იდეალი“ - დავით აღმაშენებლის გზატკეცილის მეცხრე კილომეტრზე. კომპანიას ასევე აქვს სასაწყობო მეურნეობა თბილისში, რითაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ და ეფექტურ ოპერირებას.

2016 წლის 1 იანვარს გაფორმებული ფრანჩაიზის ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ქალაქ ქუთაისში მდებარე სავაჭრო ცენტრის მეშვეობითაც ახორციელებს.

შპს დემასი თავის კლიენტებს სთავაზობს სააბაზანო ოთახების და მასთან დაკავშირებული აქსესუარების სხვადასხვა დიზაინის შოუ რუმებს, რითაც ეხმარება მათ საბოლოო პროდუქტის ვიზუალიზაციაში და უმარტივეს არჩევანის გაკეთებას.

კომპანიის მომწოდებლები არიან მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ისეთ მწარმოებლები და ბრენდები, როგორებიც არიან: ლაუფენი, როკა, მაპეი, ჰანსგრეფ, დურავიტი, გროე და სხვა. სარეალიზაციო პროდუქციის დაახლოებით 99% არის იმპორტირებული. ადგილობრივი მომწოდებლებისგან მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვანი პროდუქციის შესყიდვა ხდება.

2019 წლის 1 ოქტომბერს კომპანიამ შეიძინა 49% იანი წილი შპს „ცისარტყელაში“. შპს ცისარტყელას ოპერაციები დაკავშირებულია სასტუმროს მშენებლობასა და ოპერირებასთან.



აბასი
DEMASI

კომპანიის ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

კომპანიის მიერ შესყიდული პროდუქციის გრაფიკული გამოსახულება 2018-2019 წლებში მოცემულია ქვემოთ:

შესყიდული მარაგების ღირებულება



მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები

რეალიზაცია. კომპანია სარეალიზაციო პროდუქციას ყიდის როგორც საცალო, ისე საბითუმო მომხმარებლებზე და სამშენებლო და სხვა კომპანიებზე. კომპანიის ამონაგები რეალიზაციიდან 2018-2019 წლებში მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი რეალიზაციიდან



კომპანიას ცდილობს არ იყოს დამოკიდებული ერთ ან რამდენიმე მნიშვნელოვან მომხმარებელსა და მომწოდებელზე, ამიტომ მისი მომხმარებელთა და მომწოდებელთა პორტფელი დივერსიფიცირებულია.

საინვესტიციო ქონება და შესაბამისი საიჯარო შემოსავლები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საინვესტიციო ქონება მოიცავდა 4 კომერციულ ფართს, რომლის მთლიანი ფართობი დაახლოებით 829 კვადრატული მეტრია. საინვესტიციო ქონება მდებარეობს თბილისში, პეკინის გამზირზე და მისი რეალური ღირებულება აღნიშნული თარიღისთვის იყო 6,906 ათასი ლარი (შეფასებული საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის მიერ). კომერციული ფართები გაქირავებულია სხვადასხვა მეიჯარეებზე, საიჯარო პერიოდით 1-დან 5 წლამდე.

მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა. კომპანიის მთავარი ფინანსური მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019	2018	ცვლილება %
ამონაგები	56,605	60,346	-6%
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	(32,099)	(34,995)	-8%
სულ აქტივები	122,229	94,011	30%
სულ კაპიტალი	112,011	92,130	22%
EBITDA*	20,276	19,823	2%

*EBITDA (Earnings Before Interest, Tax and Depreciation) - შემოსავლები დაბეგვრამდე, საპროცენტო ხარჯების და შემოსავლების და ცვეთა და ამორტიზაციის გარეშე.



კომპანიის ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი ცვლილებების ძირითადი მიზეზების ახსნა-განმარტება:

1. ამონაგების შემცირება (შესაბამისი შემცირება გაყიდული საქონელის თვითღირებულებაში) გამოიწვია რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა: 1. ახალი საბანკო რეგულაციები რომლებმაც შეამცირა ხელმისაწვდომობა იპოთეკურ სესხებზე, რამაც თავის მხრივ შეამცირა მოთხოვნა ბინებზე და შესაბამისად სამშენებლო კომპანიების აქტივობაზე. დემასის ძირითადი პროდუქცია წარმოადგენს სამშენებლო, მოსაპირკეთებელ და სარემონტო მასალებს რაზეც მოთხოვნა როგორც სამშენებლო ასევე კერძო ფიზიკური პირებისგან შემცირდა მოცემული რეგულაციების გამო 2. ლარის გაუფასურება უცხოური ვალუტის მიმართ რომელმაც გამოიწვია ფასების ზოგადი ზრდა იმპორტირებულ პროდუქციაზე, რაც თავის მხრივ აისახა მოთხოვნაზე. კომპანია პროდუქცია წარმოადგენს მაღალი ხარისხის და შესაბამისი ფასის ნაწარმს, რომელზე მოთხოვნამაც ლარის გაუფასურების პირობებში დაიკლო მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობის შემცირების შედეგად.
2. სულ აქტივების ზრდა დაკავშირებულია შემდეგ მოვლენებთან: 1. ძირითადი საშუალებები - კომპანიამ შეისყიდა რამდენიმე მიწის ნაკვეთი, დასავლეთ საქართველოში შემდგომში სავაჭრო ცენტრების მშენებლობის მიზნებისთვის. ბათუმში სავაჭრო ცენტრის მშენებლობა კვლავ აქტიური ფაზაშია და კომპანია მის დასრულებას ვარაუდობს 2020 წლისთვის. 2. ვადიანი დეპოზიტების ზრდა - კომპანია რეგულარულად აბანდებს თავისუფალ ფულად სახსრებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთის მქონე მაღალი რეპუტაციისა და სტაბილური საკრედიტო რეიტინგის მქონე ქართული ბანკების დეპოზიტებში. 2019 წელსაც, წინა წლების მსგავსად კომპანიამ მოახდინა ინვესტირება აღნიშნულ ფინანსურ ინსტრუმენტებში.
3. კაპიტალის ზრდა გამოწვეული იყო 2019 წლის წმინდა მოგებით, შემცირებული 2019 წლის განმავლობაში გამოცხადებული და განაწილებული დივიდენდებით.
4. EBITDA-ს ზრდა დაკავშირებულია ზემოჩამოთვლილ 1-3 განხილულ ფაქტორებთან.

კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანია მიზნად არ ისახავს პროდუქციის ექსპორტზე გაყიდვას, არამედ ორიენტირებულია ბაზრის წილის ზრდაზე საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კომპანიამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა: 2017 წელს, კომპანიამ დაიწყო „გალერეა დემასი“-ს რეკონსტრუქცია/განახლება, რომელიც დასრულდა 2018 წელს. შედეგად კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა არსებული შოუ რუმის ფართობი და მიიღო ახალი, თანამედროვე ინტერიერის და მოწყობილობების მქონე შოუ რუმი თბილისის ცენტრში. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანიამ შეიძინა მიწის ნაკვეთები აჭარაში, კონკრეტულად ბათუმში, სადაც მიმდინარეობს და იგეგმება სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რომლის დასრულებაც 2020 წლისთვის იგეგმება.

კომპანიის მთავარი არა ფინანსური მაჩვენებლები

(1) ურთიერთობა თანამშრომლებთან. შპს დემასი-ს საშუალო წლიური თანამშრომელთა რაოდენობა 180 - 220 ადამიანის ფარგლებშია. კომპანიას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული დაქირავების პოლიტიკა და მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები ხდებიან საბოლოოდ კომპანიის თანამშრომლები.



კომპანიის სამომავლო გეგმები (გაგრძელება)

როგორც დამსაქმებელი, შპს "დემასი" უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებით, რათა შეინარჩუნოს მომსახურების მაღალი ხარისხი. კომპანია შრომისმოყვარე, მიზანდასახული პირებს სთავაზობს წინსვლის განსაკუთრებულ პირობებს, დადებით სამუშაო გარემოსა და კონკურენტუნარიან ანაზღაურებას. კომპანიის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან დროს და ყურადღებას უთმობს დასაქმებულთა უფლებებს.

(2) ურთიერთობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. კომპანიამ ჩამოაყალიბა მყარი პროფესიონალური ურთიერთობები მომხმარებლებთან, რაც გამოიხატა ერთჯერადი მომხმარებლის მუდმივ მომხმარებლად გადაქცევაში და მოზრუნებული საქონლისა და უკმაყოფილო მომხმარებლების შემცირებულ რაოდენობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანია თანამშრომლობს ევროპისა და აზიის წამყვან მწარმოებლებთან, რომელთათვისაც შპს დემასი სანდო პარტნიორად მიიჩნევა.

კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია. კომპანიის ბუღალტერიის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს, იმისათვის რათა საქმის კურსში იყვნენ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო და სხვა მარეგულირებლებთან პირნათელი ურთიერთობა რასაც წარმატებით ახორციელებს.

დამატებითი განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის წამყვანი პოზიცია ბაზარზე და ძლიერი ფინანსური მაჩვენებლები სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებით არის გამოწვეული:

- მომსახურება და კლიენტის კმაყოფილება - როგორც აქამდეც აღვნიშნეთ, კომპანიის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას აქცევს თანამშრომლების კვალიფიკაციას, რომლებიც აღნიშნულ სფეროში წამყვანი პროფესიონალები არიან;
- დაგროვილი გამოცდილება - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანია ბაზარზე ოპერირებს დაახლოებით 20 წლის განმავლობაში, რა დროშიც, შეძლო და დააგროვა, ინარჩუნებს და წარმატებით იყენებს უდიდეს გამოცდილებას;
- კომპანიის ხელმძღვანელი პირები - კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია აღნიშნულ სექტორში მუშაობის საკმარისი გამოცდილება და ისინი მუდმივად ჩართული არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც ბიზნესის ცვლილებების საქმის კურსში ყოფნისა და ამ ცვლილებებისადმი მოქნილობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა.
- ბრენდის სიძლიერე და რეპუტაცია - კომპანიამ მოახერხა შეექმნა ძლიერი ბრენდის სახელი საქართველოს ბაზარზე, რაც ასოცირდება ხარისხთან და პროფესიონალიზმთან.

2. მთავარი რისკები და გაურკვევლობები:

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ანუ რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს, თავისი არ ან ვერ შესრულებული ფინანსური ვალდებულებების შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობის შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას, პროდუქციის საკრედიტო პირობებით

რეალიზაციას და სხვა ტრანზაქციებს რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი წარმოადგენს მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების ჯამს.

კომპანიას არ გაჩნია სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი, რადგან კომპანიის საქმიანობა თავიდანვე ისეა ორგანიზებულია, რომ თავიდან აიცილოს საკრედიტო გაყიდვები, გაყიდვების ~ 99% წინასწარი გადახდის პირობებით არის და სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი მუდმივად დაბალ დონეზეა შენარჩუნებული და მაქსიმალური საკრედიტო პერიოდი არ აღემატება 30 დღეს.

დეპოზიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის სამართავად კომპანიის ხელმძღვანელობა მათ განათავსებს ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთაც საკრედიტო რეიტინგების შემფასებელი დამოუკიდებელი ორგანიზაციების შეფასებით სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი აქვთ. მოვალეობის გადამხდელ უნარიანობა ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას ხელმძღვანელობის მხრიდან, რათა გამოვლენილ იყოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესება ადრეულ საფეხურზე. კომპანიის ოპერირების განმავლობაში არცერთი ვადა გადაცილება და/ან გაუფასურების ინდიკატორი არ დაფიქსირებულა.

სავალუტო რისკი

იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია სარეალიზაციო პროდუქციას ყიდულობს ძირითადად უცხოური მომწოდებლებისგან, რომელთაგან ანგარიშსწორება შესაბამის უცხოურ ვალუტაში ხდება და რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ შიდა ბაზარზე, ქართულ ლარში, კომპანიას წარმოეშვება სავალუტო რისკი. რისკი იმისა რომ ქართული ლარი გაუფასურდება უცხოურ ვალუტასთან შედარებით, რაც გამოიწვევს სარეალიზაციო პროდუქციის შესყიდვის ფასის ზრდას და დამატებით დანახარჯებს კომპანიისთვის.

იმისთვის, რომ კომპანიამ თავი დაიცვას აღნიშნული რისკებისგან, ხელმძღვანელობა ეფექტურად ახდენს ინვესტირებას უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ვადიან დეპოზიტებში.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 (კორონავირუსი), შესახებ. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უცნობი ვირუსის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წლის დასაწყისში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. მენეჯმენტი განიხილავს აღნიშნულ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად. მოცემული ფაქტის გამო კომპანიას მოუწია ორი თვის მანძილზე მისი საქმიანობის დროებით შეჩერება. მიუხედავად იმისა რომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიის გაყიდვებისა და შესყიდვების პროცესი ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა, მისი სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. მენეჯმენტი განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

სხვა რისკები

კონკურენციის რისკი. ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, ახალი კონკურენტების გამოჩენა ბაზარზე წარმოქმნის დამატებით რისკებს კომპანიისთვის. ამჟამად არ არსებობს არანაირი ბარიერი ბაზარზე ახალი შემსვლელების შესაფერხებლად, შესაბამისად ახალი კონკურენტებისგან თავის დაცვას კომპანია საკუთარი უპირატესობების დემონსტრირებით ახერხებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას არ გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შესაძლო რყევებით გამოწვეული შესაძლო ზარალისგან შედარებით დაცულია.

შენიშვნა: კომპანია არ იყო ჩართული კვლევებისა-ძიებისა და განვითარების (R&D) აქტივობებში 2019 წელს.

მალხაზ საბაძე

დირექტორი

2020 წლის 15 ივლისი

